ანტიდასავლური პროპაგანდა

MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

unag
UN Association of Georgia

MDF

მედიის განვითარების ფონდი

ანტიდასავლური ვიროვანდა

მედია მონიტორინგის ანგარიში

2016

მედიის განვითარების ფონდი

ავტორი:
თამარ კინწურაშვილი

მკვლევარები:
დალი ჟურდაძე, სოფო გელავა

მედია მონიტორინგი:
თამარ გაგნიაშვილი, სოფო გოგაძე, ხატია ლომიძე, რომან ბაინდურაშვილი, თამარ სოფრომაძე, თინა გოგოლაძე, ირაკლი ცხადაძე, მარიამ ცუცქირიძე, ნათია გოგელია, ნათია გოგოლაშვილი

დიზაინი:
ბესიკ დანელია, *IBDESIGN*

ანგარიში მომზადდა მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ, „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (PITA) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორ(ებ)ს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

ISBN 978-9941-?-????-?

© 2017, მედიის განვითარების ფონდი

WWW.MDFGEORGIA.GE
WWW.EUROCOMMUNICATOR.GE

შესავალი

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს მედიის განვითარების ფონდის (MDF) ერთწლიანი მედია მონიტორინგის შედგების ანალიზს, რომელშიც მიმოხილულია 2016 წელს ქართულ მედიაში გამოვლენილი ანტიდასავლური გზავნილები და დეზინფორმაცია, რომელსაც როგორც მედია საშუალებები, ასევე სხვა წყაროები – პოლიტიკური კლასი, სასულიერო პირები, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლები ავრცელებდნენ.

ანალოგიური კვლევა მედიის განვითარების ფონდმა 2014-2015 წლებში ჩაატარა. კვლევა საქართველოს გაეროს ასოციაციასთან (UNAG) პარტნიორობით, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა“ ფარგლებში განხორციელდა.

ანგარიში 2016 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს. შესავალ ნაწილში წარმოდგენილია კვლევის მთავარი მიგნებები, მეთოდოლოგია, და ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები წყაროების მიხედვით. მეორე ნაწილში მიმოხილულია პროპაგანდის მეთოდები და რუსული წყაროები. ბოლო ნაწილში განხილულია ის შემთხვევები, რომლებიც პროექტის „მითების დეტექტორის“ ფორმატში გამოვლინდა.

სარჩევი

	მთავარი მიგნებები	**9**
1.	**ერთიანი მონაცემები**	**13**
2.	**ანტიდასავლური გზავნილების წყაროები**	**19**
	2.1. მედია	20
	2.2. პარტიები	26
	2.3. საზოგადოებრივი ორგანიზაციები	35
	2.4. საზოგადოების წარმომადგენლები	35
	2.5. სასულიერო პირები	36
3.	**პროპაგანდის მეთოდები და რუსული წყაროები**	**37**

დიაგრამები და ცხრილები

დიაგრამა 1.	ანტიდასავლური გზავნილების ტიპოლოგია	13
დიაგრამა 2.	ანტიდასავლური გზავნილები იდენტობის, ადამიანის უფლებების, ღირებულებების შესახებ	14
დიაგრამა 3.	ანტიდასავლური გზავნილები ნატოსთან დაკავშირებით	15
დიაგრამა 4.	ანტიდასავლური გზავნილები დასავლეთის შესახებ	16
დიაგრამა 5.	ანტიდასავლური გზავნილები აშშ-ის შესახებ	16
დიაგრამა 6.	ანტიდასავლური გზავნილები ევროკავშირის შესახებ	17
დიაგრამა 7.	ანტიდასავლური გზავნილები არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ	18
დიაგრამა 8.	ანტიდასავლური გზავნილები წყაროების მიხედვით	19
დიაგრამა 9.	ანტიდასავლური გზავნილების წყაროები მედია საშუალებების და მათი რესპონდენტების მიხედვით	21
დიაგრამა 10.	ანტიდასავლური გზავნილების ტიპოლოგია მედია საშუალებების მიხედვით	22
დიაგრამა 11.	ანტიდასავლური გზავნილების ტიპოლოგია პარტიების მიხედვით	28
დიაგრამა 12.	დეზინფორმაციის რუსულენოვანი წყაროების დამალვის დეფლექციური მეთოდი	38
ცხრილი 1.	ევროპული ქვეყნები / ევროსტრუქტურები	40
ცხრილი 2.	აშშ	45
ცხრილი 3.	დასავლეთი	49
ცხრილი 4.	სხვადასხვა	51
ცხრილი 5.	ნატო	52
ცხრილი 6.	საბჭოთა და პოსტსაბჭოთა მითები	53
ცხრილი 7.	არასამთავრობო ორგანიზაციები	54

მთავარი მიგნებები

მონიტორინგის შედეგად შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- წინა პერიოდის (2014-2015) მსგავსად[1], ყველაზე მეტი ანტიდასავლური გზავნილი (32,7 %) კვლავ იდენტობასთან, ადამიანის უფლებებთან და ღირებულებებთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხებოდა.
- დომინირებდა მოსაზრება, რომ დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას, ინცესტს, პედოფილიას, ზოოფილიას, გარყვნილი ცხოვრების წესს, ებრძვის ეროვნულ თვითმყოფადობას, ტრადიციებს, მართლმადიდებლობას, ოჯახის ინსტიტუტს.
- გამოიკვეთა შემთხვევები, როცა მართლმადიდებელი რუსეთი დასავლეთის საპირწონედ იყო წარმოდგენილი.
- წინა წლებთან შედარებით გაზრდილია ნატოს წინააღმდეგ მიმართული გზავნილები (20,1%), რაც საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებშიც აისახა: თუ 2013 წლის ნოემბერში, ნატოში ინტეგრაციის მხარდამჭერთა 81%-ს შეადგენდა, NDI-ის 2016 წლის მონაცემებით[2], მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ნატოს წევრი, 61%-ისთვის არის მისაღები.
- მკვიდრდებოდა აზრი, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაცია რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვას გამოიწვევდა.
- ნატოში ინტეგრაციის საპირწონედ უბლოკო სტატუსისა და ნეიტრალიტეტის იდეა ფიგურირებდა, რომელსაც ძირითადად ნინო ბურჯანაძის პარტია „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ ამკვიდრებდნენ.
- სხვადასხვა წყაროების მიერ ხდებოდა სირიაში რუსეთის გადამეტებული სამხედრო ქმედებების გამართლება.
- ზოგადად დასავლეთის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები 20 %-ს, ამერიკის შეერთებული შტატების – 13,5%-ს, ევროკავშირის – 8,9 %-ს, ხოლო ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ – 4,9%-ს შეადგენდა.
- აშშ ძალადობის, კონფლიქტების, ფერადი რევოლუციების და გადატრიალებების ინსპირატორად იყო მეტწილად წარმოჩენილი.

---

1 MDF (2014-2015), ანტიდასავლური პროპაგანდა http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/15

2 NDI (2016), საზოგადოებრივი განწყობები საქართველოში. https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_November%202016%20poll_Issues_GEO_vf.pdf

- ევროკავშირი და ასოცირების ხელშეკრულება მიგრანტების მიღების ვალდებულებასთან და ტერორიზმის საფრთხესთან იყო გაიგივებული, ვიზალიბერალიზაცია და ევროინტეგრაცია დემოგრაფიულ საფრთხესთან იყო დაკავშირებული. გარკვეულ შემთხვევებში საუბარი იყო იმაზე, რომ ევროკავშირი ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის ლეგალიზების ვალდებულებას წარმოშობს.
- ხდებოდა მოწოდებები უცხოეთიდან არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების აკრძალვის თაობაზე, რა დროსაც რუსეთს სამაგალითოდ მიიჩნევდნენ.
- ანტიდასავლური გზავნილების მთავარი წყარო მედია იყო, რომელიც საკმაოდ ფრაგმენტიზირებულია: ერთი მხრივ, იკვეთება ღიად კრემლისტური გამოცემები („საქართველო და მსოფლიო“, „საქინფორმი“, Politicano) და მეორე მხრივ, ანტი-ლიბერალური, ეთნონაციონალისტური პლატფორმები (ტვ „ობიექტივი“, „ასავალ-დასავალი“, „ალია“), რომელთა გზავნილები თვისობრივად იდენტურია.
- ანტიდასავლური ნარატივით გამოირჩეოდა 8 კრემლისტური პარტია, რომელთაგან საპარლამენტო წარმომადგენლობა მხოლოდ უმრავლესობაში შემავალ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ აქვს; ხოლო „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“ მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზეა წარმოდგენილი.
- ანტილიბერალური, ეთნონაციონალისტური პარტიებიდან პარლამენტში მხოლოდ „პატრიოტთა ალიანსია“ წარმოდგენილი და მათი ნარატივი კრემლისტური გაერთიანებების იდენტურია. „პატრიოტთა ალიანსი“ დღევანდელი საფრთხეებიდან (რუსეთის ოკუპაცია) აქცენტის გადატანას ისტორიულ საფრთხეებზე (ოსმალეთის იმპერიის ოკუპაცია) ცდილობს, აღვივებს რა ისტორიულ ტრამვას და ამკვიდრებს აზრს, რომ არა მხოლოდ რუსეთია ოკუპანტი, არამედ თურქეთიც.
- მმართველი პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“ ჰიბრიდულ გაერთიანებას წარმოადგენდა, რადგან 2016 წელს მასში შემავალი სუბიექტები ხელისუფლების ოფიციალურად გაცხადებულ პროდასავლურ კურსთან წინააღმდეგობრივ განცხადებებს აკეთებდნენ. აღსანიშნავია, რომ დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს და ქართული ოცნების გზავნილები ნატოს წინააღმდეგ რაოდენობრივად და თვისობრივადაც იდენტურია.
- არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობა, რომლებიც ყველაზე მეტად გამოირჩეოდა ანტიდასავლური გზავნილებით, 2012 წლის შემდეგ არის დარეგისტრირებული, მათგან 2 („ევრაზიული ინსტიტუტი“ და „გლობალური კვლევების ცენტრი“) პირდაპირ არის დაკავშირებული რუსეთის აგრესიული ექსპანსიური პოლიტიკის იდეოლოგის, ალექსანდრ დუგინის ორგანიზაცია „საერთაშორისო ევრაზიულ მოძრაობასთან“, ასევე „ლევ გუმილევის ცენტრთან“.
- საზოგადოების მხრიდან ანტიდასავლურ ნარატივს ყველაზე ხშირად ტვ „ობიექტივის“ მაყურებლები, რუსეთთან ბიზნეს და პოლიტიკური ინტერესებით დაკავშირებული პირები და ე.წ. საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები ახმოვანებდნენ.
- ანტიდასავლური რიტორიკით გამორჩეული სასულიერო პირების უმრავლესობა მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს წარმოადგენს, ერთ-ერთი წყარო კი ექსტრემისტული ქმდებებისთვის გასამართლებული მღვდელია (ბასილ მკალავიშვილი).

- პროპაგანდისტული პლატფორმები დეზინფორმაციის გავრცელებისას ხშირად იყენებდნენ დეფლექციურ ანუ წყაროს არიდების მოდელს. ფეიქ ინფორმაციების გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ მეტწილად იდენტური დეზინფორმაციები რუსულენოვან ან სხვადასხვა სატირულ-იუმორისტულ გამოცემებში იბეჭდებოდა.
- აქტიურად ხდებოდა ასევე სხვადასხვა კონსპირაციების, დემონიზების მეთოდის და საბჭოთა მითების გამოყენება.

რეკომენდაციები

- მნიშვნელოვანია გაგრძელდეს დეზინფორმაციის გამოვლენა, მედია კვლევები და საზოგადოებრივი აზრის შესწავლა, რათა გაანალიზდეს, თუ რა წყაროები აყალიბებს მომხმარებლის დამოკიდებულებებს;
- მონიტორინგის საგანი უნდა იყოს არა მხოლოდ მეინსტრიმული მედიები, არამედ მცირე პლატფორმებიც, რომელთა მულტიპლიკაცია სოციალური ქსელების მეშვეობით ხდება;
- დეზინფორმაციაზე საპასუხოდ უნდა მოხდეს საზოგადოების ინფორმირება გადამოწმებული, ფაქტებით გამყარებული ინფორმაციით და კომუნიკაცია არა მხოლოდ ონლაინ პლატფორმებით, მეინსტრიმული მედიითაც უნდა განხორციელდეს;
- მნიშვნელოვანია მთავრობამ ეფექტიანი კომუნიკაციის სტრატეგია შეიმუშაოს და მყისიერად მოახდინოს რეაგირება ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით გავრცელებულ დეზინფორმაციაზე. ამასთანავე ხელისუფლებამ და მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ კოორდინირებული კომუნიკაცია უნდა აწარმოონ და თავად არ უნდა იქცნენ დეზინფორმაციისა და მითების ტირაჟირების წყარო.
- ვინაიდან ანტიდასავლურ დისკურსს ძირითადად ქსენოფობია და ჰომოფობია ასაზრდოებს, მედიის თვითრეგულირების მექანიზმების ეფექტიანი გამოყენება უნდა მოხდეს;
- მნიშვნელოვანია დაინერგოს მედია წიგნიერების პროგრამები, რათა მოქალაქეებმა ფეიქ ინფორმაციის გადამოწმების უნარები თავად შეიძინონ და არ გახდნენ დეზინფორმაციის მომხმარებლები და გამავრცელებლები.

მეთოდოლოგია

მონიტორინგის სუბიექტებად შეირჩა როგორც მეინსტრიმული, ასევე ტაბლოიდური მედია: 8 ტელევიზიის პრაიმ-თაიმის საინფორმაციო და ანალიტიკური გამოშვება: საზოგადოებრივი მაუწყებელი (მოამბე), რუსთავი 2 (კურიერი, P.S.), იმედი, (ქრონიკა, იმედის დრო), მაესტრო (მაესტროს კონტაქტი 20სთ-ზე), ტაბულა (ფოკუსი), GDS (20:30). წინასაარჩევნო პე-

რიოდში 1 აპრილიდან მონიტორინგის სუბიექტებს დაემატა ტელეკომპანია „ობიექტივის“[3] და კავკასიის საინფორმაციო გამოშვებები. 6 ტელევიზიის თოქ-შოუ: რუსთავი 2 (არჩევანი), იმედი (ღია ეთერი), მაესტრო (ღამის კონტაქტი), ობიექ-ტივი (ღამის სტუდია), კავკასია (ბარიერი, სპექტრი), ტაბულა (თეორემა). 7 ონლაინ გამოცემა: საქინფორმი, ნეტგაზეთი, მარშალპრესი, ინტერპრესნიუსი, საქართველო და მსოფლიო, PIA, კვირის პალიტრა. 4 გაზეთი: რეზონანსი, პრაიმ თაიმი, ასავალ-დასავალი, ალია. გარდა მონიტორინგის რეგულარული სუბიექტებისა, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ანგა-რიშში მოხვდა სოციალური მედიის გავრცელებული დეზინფორმაცია, რაც დასავლეთს უკავშირდებოდა.

მონიტორინგი როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივ მონაცემებს ასახავს. თვისობრივ ნაწილში მოცემულია ანტი-დასავლური გზავნილების ტიპოლოგია. პოლიტიკური სუბიექტების მიერ პარტიული კუთვნილების ხშირი ცვლილებების გამო, რაც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ განსაკუთრებით დინამიური პროცესი გახდა, გარკვეული სუბიექ-ტები სხვადასხვა პარტიებში ფიგურირებენ, იმისდა მიხდვით, თუ რომელ პოლიტიკურ სუბიექტს წარმოადგენდნენ ისინი განცხადების გაკეთების მომენტში.

[3] ობიექტივის საინფორმაციო გამოშვება ეთერში მაისიდან გავიდა და მისი მონიტორინგი 1 ივნისიდან დაიწყო.

სულ გაანალიზებული იყო ანტიდასავლური 1 258 გზავნილი, საიდანაც წინა პერიოდის (2014-2015) მსგავსად, ყველაზე მეტი (32, 7 %) კვლავ იდენტობასთან, ადამიანის უფლებებთან და ღირებულებებთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხებოდა. შედარებით გაზრდილია ნატოს წინააღმდეგ მიმართული გზავნილები (20,1%), რასაც მოსდევს ზოგადად დასავლეთის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები (20 %). ამერიკის შეერთებული შტატების (13,5%) წინააღმდეგ მიმართულ გზავნილებს ევროკავშირი მოსდევს (8,9 %), ბოლო ადგილზე კი ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ (4,8%) გაკეთებული განცხადებებია.

დიაგრამა 1. ანტიდასავლური გზავნილების ტიპოლოგია



იდენტობა/ადამიანის უფლებები/ღირებულებები. წინა პერიოდის მსგავსად, დომინირებდა მოსაზრება, რომ დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას (232), მიუღებელ ღირებულებებს (64), ებრძვის ეროვნულ თვითმყოფადობას, ტრადიციებს (48), მართლმადიდებლობას (28), თავს გვახვევს ინცესტს, პედოფილიას, ზოოფილიას, გარყვნილი ცხოვრების წესს (21), ებრძვის ოჯახის ინსტიტუტს (15), რა დროსაც აქცენტი მეტწილად იუვენალურ კანონმდებლობაზე, როგორც საფრთხეზე კეთდებოდა. გამოიკვეთა შემთხვევები (3), როცა მართლმადიდებელი რუსეთი დასავლეთის საპირწონედ იყო წარმოდგენილი.

დიაგრამა 2. ანტიდასავლური გზავნილები იდენტობის, ადამიანის უფლებების, ღირებულებების შესახებ



ნატო. ყველაზე ხშირად ხდებოდა სკეპტიციზმის გაღვივება, რომ საქართველო ნატოს არ სჭირდება და რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსისკენ ქვეყნის მისწრაფება უტოპიაა (102), ნატო წარმოდგენილი იყო, როგორც საფრთხე (65), მკვიდრდებოდა აზრი, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაცია რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვას გამოიწვევდა (25), ნატოში ინტეგრაციის საპირწონედ უბლოკო სტატუსისა და ნეიტრალიტეტის იდეა ფიგურირებდა, რომელსაც ძირითადად ნინო ბურჯანაძის დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო ამკვიდრებდნენ (16), საერთაშორისო მისიებში ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობა წარმოდგენილი იყო არა როგორც კოლექტიურ უსაფრთხოებაში შეტანილი წვლილი, არამედ როგორც სხვისთვის გაღებული ხარკი (12), ხდებოდა ნატოზე 2008 წელს ჩატარებული პლებისციტის შედეგების და შესაბამისად საზოგა-

დოების მხარდაჭერის ეჭვქვეშ დაყენება (11), მკვიდრდებოდა აზრი, რომ ნატო ვერ დაგვიცავს (9), ნატოს ეგიდით საქართველოში ჩატარებული წვრთნები რუსეთის წინააღმდეგ პროვოკაციად იყო შეფასებული (8), ხოლო ნატოში ინტეგრაცია თურქეთის საქართველოში ინტერვენციის საფრთხედ იყო წარმოჩენილი (6).

დიაგრამა 3. ანტიდასავლური გზავნილები ნატოსთან დაკავშირებით



დასავლეთი. მკვიდრდებოდა აზრი, რომ საქართველო არ იყო დამოუკიდებელი მოთამაშე და მას რეალურად დასავლეთის ქვეყნები მართავდნენ (158), დასავლეთის საპირწონედ რუსეთი იყო წარმოჩენილი (43), ხოლო დასავლეთის საფრთხეებთან გაიგივება ხდებოდა (28), მკვიდრდებოდა აზრი, რომ დასავლეთი ხელს არ უწყობს საქართველოში სამართლიანობის აღდგენას და ხელს უშლის მართლმსაჯულებას ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ (10), დასავლეთის მიერ საქართველოს დაცვა (7) და ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობის მხარდაჭერა (5) ეჭვქვეშ იყო დაყენებული.

დიაგრამა 4. ანტიდასავლური გზავნილები დასავლეთის შესახებ



ამერიკის შეერთებული შტატები. აშშ ძალადობის, კონფლიქტების, ფერადი რევოლუციების და გადატრიალებების ინსპირატორად იყო მეტწილად წარმოჩენილი (76), ხდებოდა ამერიკასთან სტრატეგიული პარტნიორობის საფრთხედ წარმოჩენა (43), რომელიც ვერ დაგვიცავს (14), აშშ ტერორიზმის წამახალისებლად (9) და იმ ქვეყნად იყო წარმოდგენილი, რომელიც საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას ხელს არ უწყობს (8), მკვიდრდებოდა აზრი, რომ ამერიკაც ოკუპანტია (8), ხოლო რიჩარდ ლუგარის ლაბორატორია, რომელიც ბიოუსაფრთხოების დაცვის მიზნით საქართველოში გაიხსნა, საფრთხესთან იყო გაიგივებული (5), იყო მოსაზრებები, რომ ამერიკისთვის მხოლოდ ფინანსები იყო მთავარი ღირებულება (3) და ის საქართველოს განათლების სისტემას ებრძოდა (3).

დიაგრამა 5. ანტიდასავლური გზავნილები აშშ-ის შესახებ



ევროკავშირი/ევროპის ქვეყნები. ევროსკეპტიციზმის გაღვივება ამ კატეგორიაში დომინანტი იყო. მკვიდრდებოდა აზრი, რომ საქართველო ევროკავშირთან ვერც ვიზალიბერალიზაციას მიაღწევს, ვერც გაწევრიანებას, რადგან ევროკავშირი თავად დაიშლება (68), ევროკავშირი და ასოცირების ხელშეკრულება მიგრანტების მიღების ვალდებულებასთან და ტერორიზმის საფრთხესთან იყო გაიგივებული (19), მკვიდრდებოდა აზრი, რომ ევროკავშირი ხელს არ უწყობს საქართველოს ეკონომიკურ კეთილდღეობას (12), ვიზალიბერალიზაცია და ევროინტეგრაცია დემოგრაფიულ საფრთხესთან იყო დაკავშირებული (7), რა დროსაც ბალტიის ქვეყნების გამოცდილებაზე აპელირება ხდებოდა, გარკვეულ შემთხვევებში საუბარი იყო იმაზე, რომ ევროკავშირი ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის ლეგალიზების ვალდებულებას წარმოშობს (2), რომ ევროკავშირი ვერ დაგვიცავს (2), ხოლო რუსული ბაზარი ევროკავშირის ბაზარზე უფრო მიმზიდველია (2).

დიაგრამა 6. ანტიდასავლური გზავნილები ევროკავშირის შესახებ



არასამთავრობო ორგანიზაციები. დომინანტი იყო მოსაზრება, რომ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები საკუთარი ქვეყნის ინტერესებს ფულზე ყიდიან (37), სხვა ქვეყნის ინტერესებს იცავენ (8), ხდებოდა მოწოდებები უცხოეთიდან არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების აკრძალვის თაობაზე (8), რა დროსაც რუსეთს სამაგალითოდ მიიჩნევდნენ, არასამთავრობოებს უცხო ქვეტნის აგენტებად (7) და ერთ შემთხვევაში გადატრიალებების ინსპირატორად ასახელებდნენ.

დიაგრამა 7. ანტიდასავლური გზავნილები არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ



2 ანტიდასავლური გზავნილების წყაროები

ანტიდასავლური გზავნილების მთავარი წყარო მედია (417) იყო, რომელსაც პოლიტიკური პარტიები (372) მოსდევენ, შემდეგ ადგილზე არიან საზოგადოების წარმომადგენლები (281), საზოგადოებრივი ორგანიზაციები (95), სასულიერო პირები (50), ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები (23), კატეგორიაში სხვადასხვა გაერთიანებულია თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი წევრის, უცხო ქვეყნის ხელისუფლებისა და რუსი პოლიტიკოსების განცხადებები (15), ბოლო ადგილზე ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გაკეთებული განცხადებებია (5).

დიაგრამა 8. ანტიდასავლური გზავნილები წყაროების მიხედვით



2.1. მედია

მედია საშუალებები, რომლებიც ანტიდასავლურ ნარატივს აღვივებენ, ჩვენ ძირითადად 2 ჯგუფად დავყავით:

1. კრემლისტური გამოცემები;
2. ანტი-ლიბერალური, ეთნონაციონალისტური.

ამ ჯგუფების გზავნილები ძირითადად იდენტურია და თვისობრივად მათ ერთმანეთისგან კრემლის პოლიტიკის ღია მხარდაჭერა განასხვავებს. ამ ორი კატეგორიის მიხედვით გადანაწილება კი ასეთ სურათს ქმნის:

კრემლისტური მედია	ანტი-ლიბერალური, ეთნონაციონალისტური მედია
საქართველო და მსოფლიო	ასავალ-დასავალი
საქინფორმი	ობიექტივი
POLITICANO (ფეისბუქ გვერდი)	„ალია“ ჰოლდინგი

მედია საშუალებებიდან ყველაზე მეტი ანტიდასავლური გზავნილის წყარო ინტერნეტგამოცემა Geworld.ge (საქართველო და მსოფლიო) იყო (166), სადაც სარედაქციო მასალების გარდა, 127 რესპონდენტის იდენტური გზავნილი გამოქვეყნდა; შემდეგ ადგილზეა გაზეთი „ასავალ-დასავალი“ (94), სადაც რესპონდენტების რიცხვი, ვინც ანტიდასავლური რიტორიკით გამოირჩეოდა, ყველაზე მაღალია (237). „ასავალ-დასავალს“ მოსდევს ინტერნეტპორტალი „საქინფორმი“ (რედაქცია – 89, რესპონდენტი – 66) და ტელეკომპანია „ობიექტივი“ (რედაქცია – 42, რესპონდენტი – 135). შემდეგ ადგილზეა „ალია“ ჰოლდინგში შემავალი გამოცემები – გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ (რედაქცია – 20, რესპონდენტი – 51). შედარებით ნაკლებია სარედაქციო ანტიდასავლური კომენტარები შემდეგ გამოცემებში: ტელეკომპანია „კავკასია“ (რედაქცია – 3, რესპონდენტი – 44), გაზეთი „კვირის პალიტრა“ (რედაქცია – 1, რესპონდენტი – 8), ტელეკომპანია „მაესტრო“ (რედაქცია – 1, რესპონდენტი – 21), ინტერნეტპორტალი „მარშალპრესი“ (რედაქცია – 1, რესპონდენტი – 38).

დიაგრამა 9. ანტიდასავლური გზავნილების წყაროები მედია საშუალებების და მათი რესპონდენტების მიხედვით



რაც შეეხება გზავნილების ტიპოლოგიას მედია საშუალებების მიხედვით, როგორც დიაგრამა 10-დან ჩანს, ინტერნეტ-პორტალ „საქართველო და მსოფლიოში“ (76), ასევე გაზეთებში „ასავალ-დასავალი“ (53) და „ალია“ (9) იდენტობის, ადამიანის უფლებებისა და ღირებულებების თემა დომინირებს და ნეგატიურ კონტექსტშია წარმოდგენილი; ინტერნეტ-პორტალ „საქინფორმის“ შემთხვევაში ნატოს წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები სჭარბობს (26), ხოლო მედია-კავშირ „ობიექტივის“ შემთხვევაში (12) – ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ.

დიაგრამა 10. ანტიდასავლური გზავნილების ტიპოლოგია მედია საშუალებების მიხედვით



გაზეთ და ინტერნეტ-პორტალ „საქართველო და მსოფლიოს“ გამოსცემს შპს ისტორიულ მემკვიდრეობა, რომლის 2009 წელს დაფუძნებას რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი საჯაროდ მიესალმა. „ისტორიული მემკვიდრეობის“ საზოგადოებრივი საბჭოს წევრი არის პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია, რომელიც რუსეთის პრეზიდენტმა, მედვედევმა 2008 წლის ივლისში „რუსეთის ფედერაციასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის სფეროში შეტანილი დიდი წვლილის გამო“ ორდენით დააჯილდოვა. ისტორიული მემკვიდრეობის პარტნიორია ასევე პრო-რუსული არასამთავრობო ორგანიზაცია „ევრაზიის ინსტიტუტი“. ანტიდასავლური განწყობების გარდა, გამოცემა გამოირჩევა თურქოფობიით, რასისტული და ჰომოფობიური განცხადებებით.

ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡᲪᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘ. „საქართველო და მსოფლიო“ და „საქინფორმი“ მეტწილად ამკვიდრებდნენ აზრს, რომ დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას, რომ ზოოფილია, ინცესტი და გარყვნილი ცხოვრება დასავლეთში ცხოვრების ჩვეული წესია. ხშირად ხდებოდა მართლმადიდებელი რუსეთის დასავლეთის საპირწონედ წარმოჩენა:

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲔᲮᲔᲘᲫᲔ, *ავტორი:* **„ვისთან ურთიერთობა ურჩევნია საქართველოს – ოღრაშების, სატანის მსახურ დასავლეთთან თუ ერთმორწმუნე, მართლმადიდებელ რუსეთთან?“**

საქართველო და მსოფლიო, 13 ივლისი

გამოცემები აღვივებდნენ კონსპირაციას, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს ინტეგრაცია საქართველოში თურქეთის ექსპანსიას გამოიწვევდა.

„არავინ საუბრობს იმაზე, რომ ნატოში შესვლის საფასურს საქართველო თავისი სუვერენიტეტითა და ტერიტორიების დარღვევით გადაიხდის და ქართველი ხალხი მუსლიმური სახელმწიფოს – თურქეთის დიქტატის ქვეშ იცხოვრებს“.

საქართველო და მსოფლიო, 30 ივნისი

როგორც „საქართველო და მსოფლიო“, ასევე „საქინფორმი“ სირიაში რუსეთის ქმედებების გამართლებას ახდენდნენ:

არნო ხიდირბეგიშვილი, *საქინფორმის რედაქტორი:* „სირიაში ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ რუსეთის წარმატებულმა მოქმედებამ დაამტკიცა, და აქ აბსოლუტურად უსარგებლოა ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები“.

საქინფორმი, 26 ივლისი

დიდი ბრიტანეთის ბრძოლა კრემლის პროპაგანდასთან კი „საქართველო და მსოფლიოს“ მიერ კავკასიის ქვეყნების კოლონიზაციად და რუსეთის წინააღმდეგ პლაცდარმად გამოყენების მცდელობასთან იყო გაიგივებული.

ჯაბა შვანია, ავტორი: „დიდი ბრიტანეთი არც მალავს, რომ მისი მიზანი, რეგიონში რუსეთის გავლენის შემცირება და ქართველებზე კეთილშობილური ზრუნვა კი არა, აქ ლონდონის გავლენის ზრდა და ბრიტანეთის „საუკეთესო ტრადიციებში“ რეგიონის სრული კოლონიზაციაა“.

საქართველო და მსოფლიო, 7 დეკემბერი

ორივე გამოცემას აქცენტი რეალური საფრთხეებიდან (რუსეთის ოკუპაცია), ისტორიულ საფრთხეებზე (ოსმალეთის იმპერიის ოკუპაცია) გადაჰქონდა[4] და ხშირად აქვეყნებდა ფეიქ ნიუსებს და საბჭოთა პერიოდის კონსპირაციებს, რაც

საინფორმაციო სააგენტო საქინფორმის 100%-იანი წილის მფლობელი 2013 წლიდან გამოცემის რედაქტორი არნო ხიდირბეგიშვილია. დამოუკიდებლობა.com-ის თანახმად, „საქინფორმის“ დომეინი პრორუსული ორიენტაციის ორგანიზაციის „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელის, ტარას გაგნიძის სახელზეა რეგისტრირებული, რომელიც „საქართველო და მსოფლიოსაც“ ფლობს. „საქართველო და მსოფლიოს“ მსგავსად, საქინფორმიც გამოირჩევა სიძულვილის ენის გაღვივებით. თურქოფობიულ შეფასებებში „საქინფორმი“ რუსეთის თურქეთის საპირწონედ წარმოჩენას და ყარსის ხელშეკრულებაზე დაუსაბუთებელი აპელირებას ახდენს.

Politicano-ს ფეისბუქ გვერდი ევგენი პრიმაკოვის სახელობის რუსულ-ქართულ საზოგადოებრივ ცენტრთან დაკავშირებული მედიუმია. თავის მხრივ აღნიშნული ცენტრი რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი გორჩაკოვის ფონდისა და ქართული საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის მიერ არის შექმნილი.

[4] MDF (2016), სიძულვილის ენა. http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/55

რუსულ პროპაგანდისტულ პლატფორმებში გვხვდება, თუმცა რუსული წყაროების იდენტიფიცირებას ყოველთვის ღიად არ ახდენდა.

ანტი-ლიბერალური, ეთნონაციონალისტური გამოცემები. ამ ჯგუფში გაზეთები „ასავალ-დასავალი“ და ჰოლდინგ „ალიაში“ შემავალი გამოცემები („ალია“, „კვირის ქრონიკა“), ასევე პოლიტიკურ გაერთიანება „პატრიორტთა ალიანსთან“ დაკავშირებული ტელე კომპანია „ობიექტივი“ მოხვდნენ. მათი გზავნილები კრემლისტური გამოცემების იდენტური იყო.

> მედია-კავშირი „ობიექტივი“ 2010 წლის აგვისტოში დაფუძნდა. დამფუძნებელთა შორის პოლიტიკური გაერთიანება „პატრიოტთა ალიანსის“ ამჟამინდელი გენერალური მდივანი ირმა ინაშვილი იყო, რომელიც ტელეკომპანიის მმართველობაში 2014 წლიდან აღარ ფიგურირებს. პარტიის ოფისი და ტელეკომპანია ერთიდაიგივე შენობაშია განთავსებული. „ობიექტივის“ მაუწყებლობა სატელევიზიო სიხშირის გარდა, რადიო სიხშირით და ინტერნეტით ხორციელდება. ტელეკომპანია თურქოფობიულ, ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ სარედაქციო პოლიტიკას ატარებს. რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპის კომისიის (ECRI) მეხუთე ციკლის ანგარიშში, MDF-ის კვლევაზე დაყრდნობით, ხელისუფლებას მიეცა რეკომენდაცია, არ გააფორმოს ხელშეკრულება, არსებობის შემთხვევაში კი გააუქმოს კონტრაქტები ისეთ მედია საშუალებებთან, რომლებიც სიძულვილს აღვივებენ. ანგარიშში ამ კონტექსტში ტვ „ობიექტივიც“ მოხვდა.

აღნიშნულ მედია პლატფორმებშიც დომინირებდა აზრი, რომ დასავლეთი ებრძვის ჩვენს სექსუალურ, რელიგიურ იდენტობას, ტრადიციებს.

> **გიორგი გიგაური,** *ჟურნალისტი*: **„თუ ამერიკაში შეიძლება ერთსქესიანთა სიყვარული, მაშინ დასაშვებია სატანის სიყვარულიც!.. უფრო „ცივილიზებულები“ და „ტოლერანტები“ ვიყოთ, გავიზიაროთ ეს „თანამედროვე გამოცდილება“ და ჩვენს სკოლებშიც ჩავუტაროთ ბავშვებს სექსის გაკვეთილები და ვაზიაროთ სატანიზმს?!“**
>
> *ასავალ-დასავალი, 8-14 თებერვალი*

> **ლევან ჯავახიშვილი,** *ჟურნალისტი:* **„ობამას ადმინისტრაცია, ფულითაც და ყველანაირად ახალისებდა ამ ხალხს, ხელს უწყობდა ქართული სახელმწიფოს ნგრევაში, ტრადიციების მოსპობაში“.**
>
> *ალია, 14-21 ნოემბერი*

ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაცია და ევროინტეგრაციის პროცესი ტვ „ობიექტივის“ ეთერში დემოგრაფიულ საფრთხესთან იყო გაიგივებული. ერთ შემთხვევაში ტელეკომპანიას წყაროდ რუსული მედია საშუალება 1TV.ru ჰქონდა გამოყენებული:

ვალერი კვარაცხელია, *წამყვანი:* **„ევროპაში პირდაპირ ქალების გაუპატიურების სცენები დღისით მზისით რაღაცა საოცრებები ხდება... აი, ამ დროს ევროპა ჩვენ ასე უვიზო მიმოსვლას გაგვიხსნის, ჩვენი თუნდაც რეგიონის გათვალისწინებით. თუნდაც მენტალობის გათვალისწინებით და ა.შ. ცოტა ძნელი წარმოსადგენია“.**

ობიექტივი, პოლიტიკური ღამე, 31 იანვარი, 14 თებერვალი

წყარო: 1TV.ru

ნინო რატიშვილი, *წამყვანი*: **„დაიცლება ეს ქვეყანა... ჩვენ ვითარებაში წარმოიდგინეთ: თურქები, ირანელები, ჩინელები, მითუმეტეს ეხლა შეიძლება ამ პირობებში საუბარი იმაზე, რომ მიწები გავყიდოთ? იმიტომ რომ თურმე ეს არის ევროკავშირის ერთ-ერთი კიდე რაღაც“...**

ობიექტივი, ღამის სტუდია, 19 დეკემბერი

როგორც ტვ „ობიექტივის“, ასევე გაზეთ „ასავალ-დასავალის“ შემთხვევაში, ხდებოდა სირიაში არსებულ ვითარებაში ამერიკის დადანაშაულება.

ნინო რატიშვილი, *წამყვანი:* **„ალეპოში და არა მხოლოდ ალეპოში, ამერიკა მფარველობდა ხო?!... როცა გეუბნებიან, რუსი რომ კლავს, არ შეიძლება და ამერიკელი რომ კლავს, ასე უნდა დემოკრატიას, ეს სჭირდება, ეს არის გამაღიზიანებელი“.**

ობიექტივი, ღამის სტუდია, 28 დეკემბერი

ამასთანავე ტვ „ობიექტივში“, სადაც ანტიამერიკული სარედაქციო კომენტარები დომინირებდა, მკვიდრდებოდა აზრი, რომ ამერიკა იდეის გამო ერებს ანადგურებს (ნინო რატიშვილი, წამყვანი: „ამას აკეთებს სხვათაშორის, ამერიკა, იდეის გულისთვის ერებს ანადგურებს“, ობიექტივი, ღამის სტუდია, 24 ოქტომბერი). საინფორმაციო გამოშვებაში კი ნატოზე 2008 წელს ჩატარებული პლებისცი-

გაზეთი „ასავალ-დასავალი“ 1992 წლის 3 მარტს დაარსდა და ყოველ ორშაბათს გამოდის. გამოცემის 100%-იანი წილის მფლობელი და რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილია. MDF-ის 2016 წლის „სიძულვილის ენის“ ანგარიშის თანახმად, „ასავალ-დასავალი“ ყველაზე ჰომოფობიური გამოცემა იყო, სადაც ასევე ქსენოფობიურ განცხადებებსაც ვხვდებით.

„ალია-ჰოლდინგი“ 1996 წელს დაარსდა და მასში გაზეთი „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ შედიან. ჰოლდინგის 100%-იანი წილი მფლობელი გიორგი ბრეგვაძეა. ქსენოფობიური და ჰომოფობიური სარედაქციო პოლიტიკის გამო, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპის კომისიის (ECRI) მეხუთე ციკლის ანგარიშში , MDF-ის კვლევაზე დაყრდნობით, ჰოლდინგის გამოცემებიც მოხვდა და რეკომენდაცია მიეცა საქართველოს ხელისუფლებას, აღნიშნულ გაზეთებთან გაფორმებულ საბიუჯეტო კონტრაქტებს გადახედოს.

ციტის შედეგები და შესაბამისად ინტეგრაციისადმი საზოგადოებრივი მხარდაჭერა ჟურნალისტის მიერ ეჭვქვეშ იყო დაყენებული:

> **ჟურნალისტი: „კითხვაზე, უნდა შევიდეს თუ არა საქართველო ნატოში, 80%-მა დადებითი პასუხი გასცა. თუმცა, ოპოზიცია და არასამთავრობო ორგანიზაციები 2008 წლის არჩევნების გაყალბებაზე და შესაბამისად, პლებისციტის შედეგების არარეალურობაზე საუბრობდნენ“.**
>
> *ობიექტივი, საინფორმაციო, 4 ივლისი*

2.2. პარტიები

მედიის მსგავსად პოლიტიკური პარტიებიც 2 ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს: კრემლისტური პარტიები და ანტი-ლიბერალური, ეთნონაციონალისტური. ამასთანავე მმართველი კოალიციის შემთხვევაში სახეზეა ჰიბრიდული გაერთიანება, ყოფილი კოალიციის შიდაპარტიული მრავალფეროვნების გამო. გზავნილების მხრივ სამივე ჯგუფის ნარატივი მეტწილად იდენტურია.

კრემლისტური პარტიები	ანტილიბერალური, ეთნონაციონალისტური პარტიები	ჰიბრიდული გაერთიანებები
დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო	პატრიოტთა ალიანსი	ქართული ოცნება
თ. მეჯიური ერთიანი საქართველოსთვის	ეროვნულები	
სოციალისტური საქართველო		
მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს		
ცენტრისტები		
მემარცხენე ალიანსი		
ჩვენი სამშობლო		
ქართული დასი		

პარტიებიდან ანტიდასავლური გზავნილების ყველაზე მეტი რაოდენობა დემოკრატიულ მოძრაობა – ერთიან საქართველოზე და მასთან დაკავშირებულ სახალხო კრებაზე მოდის, რომლებიც ჩვენ კვლევაში ერთად დავაჯგუფეთ (96); მას მოსდევს თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის (55). ვინაიდან პარტიის ლიდერი თამაზ მეჭიაური 2012 წლიდან 2016 წლის 21 მაისამდე კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი იყო, მისი კომენტარები ანგარიშში კოალიციური და პარტიული კუთვნილების მიხედვით არის გადანაწილებული. შემდეგ ადგილზეა სოციალისტური საქართველო (44), რომლის ლიდერი ვალერი კვარაცხელია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების აქტიურ ფაზამდე ტვ „ობიექტივის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუს წამყვანი იყო და მისი კომენტარებიც ანგარიშში ნაწილობრივ მედიაში, ნაწილობრივ პარტიებშია ასახული, განცხადების გაკეთების მომენტში არსებული კუთვნილებისდა მიხედვით. მმართველი პოლიტიკური ძალის კოალიცია „ქართული ოცნების“ (43) წარმომადგენელთა ანტიდასავლური განცხადებები თითქმის სოციალისტური საქართველოს იდენტურია. აქვე აღსანიშნავია, რომ კოალიციაში შემავალმა მეორე პარტიამ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველომ“ „ქართული ოცნება“ 17 მაისს დატოვა და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებელ სუბიექტად მონაწილეობდა, თუმცა არჩევნების შემდეგ მრეწველები სახელწოდებით ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველები“ კვლავ საპარლამენტო უმრავლესობაში არიან გაერთიანებული. 17 მაისამდე გაკეთებული განცხადებები კოალიცია ქართულ ოცნებაშია მითვლილი, შემდგომი პერიოდი ცალკე არის გამოყოფილი. კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მოსდევს პატრიოტთა ალიანსი (40), შემდეგ ადგილებზე არიან „ქართული დასი“ (23), ეროვნულები (12), მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს როგორც ცალკე სუბიექტი (12), ჩვენი სამშობლო (11), ცენტრისტები (11), თეთრები (9), მემარცხენე ალიანსი (9). სხვადასხვაში მოხვდა პარტიების – ტრადიციონალისტების, ეროვნული ფორუმისა და თავისუფალი საქართველოს მიერ გაკეთებული 7 განცხადება.

რაც შეეხება გაზვნილების ტიპოლოგიას, როგორც დაიგრამა 11-ზე ჩანს, ნატოს წინააღმდეგ განცხადებებს ყველაზე ხშირად პრორუსული პარტია დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანო საქართველო (34) და მმართველი პოლიტიკური ძალის კოალიცია „ქართული ოცნების“ (34) წარმომადგენლები აკეთებდნენ. მართალია, კოალიცია საპარლამენტო არჩევნების წინ სწორედ იმ პოლიტიკურმა სუბიექტებმა დატოვეს, რომლებიც ასეთი გზავნილების უმეტესობის ავტორები იყვნენ, მაგრამ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, ერთ-ერთი ასეთი სუბიექტი – „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ საპარლამენტო უმრავლესობას კვლავ შეურთდა. საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საწინააღმდეგო გზავნილებით ასევე გამოირჩეოდნენ თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის (23), პატრიოტთა ალიანსი (16), სოციალისტური საქართველო (10) და მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს (6), როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი. თითქმის ყველა პარტიის შემთხვევაში დომინირებდა ზოგადად დასავლეთის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები, ასევე იდენტობასთან და ღირებულებებთან დაკავშირებული თემები.

დიაგრამა 11. ანტიდასავლური გზანილების ტიპოლოგია პარტიების მიხედვით



კრემლისტური პარტიები. მართალია, კრემლისტური პარტიები მრავალრიცხოვანი არიან, მაგრამ მათგან მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ არის პარლამენტში წარმოდგენილი, ხოლო „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ ადგილობრივ ხელისუფლებაში. ამდენად ქვემოთ ჩვენ ძირითადად მხოლოდ ამ პარტიის გზავნილების განვიხილავთ.

„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ უბლოკო სტატუსისა და ნეიტრალიტეტის ინიციატივით გამოვიდა (ნინო ბურჯანაძე: „არც NATO-ს, არც ამერიკის და არც რუსეთის ჯარი, და საქართველო არ უნდა გაწევრიანდეს არცერთ სამხედრო ალიანსში“, საქინფორმი, 17 აგვისტო) და ამ ინიციატივას სხვა კრემლისტური პარტიებიც იზიარებდნენ, მათ შორის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოც“. ნინო ბურჯანაძის პარტია ასევე ამკვიდრებდა აზრს, რომ ჩრდილოატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დაკარგვას გამოიწვევდა.

კრემლისტური პარტიები (გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა, ქართული დასი, სოციალისტური საქართველო) სირიაში რუსეთის სამხედრო ქმე-



დებებს ამართლებდნენ და მიმდინარე პროცესებში ამერიკას ადანაშაულებდ-ნენ.

ნანა დევდარიანი, *დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო:* **„ამერიკული ტრენდი, თითქოს რუსეთის სამხედრო მოქმედებები სირიაში მშვიდობიან მოსახლეობას აზარალებს, ვერ მკვიდრდება, რადგან ამერიკელი სამხედროების მიერ „შეცდომით“ დაბომბილი მშვიდობიანი ობიექტების რაოდენობა დიდია“.**

საქართველო და მსოფლიო, 19 ოქტომბერი

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს ნატოში საქართველოს ინტეგრაციის თურქეთის ექსპანსიასთან გაიგივებს ახდენდა:

გოგი თოფაძე, *მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს:* **„საქართველოში, როგორც ნატოს წევრ ქვეყანაში (ხომ წარმოვიდგინეთ!) 10-12 ოფიცერი თურქეთიდან, ევროპის სხვა ქვეყნებიდან შემოვა და შემოჰყვება 2-3 ათასი თურქი ჯარისკაცი. გვაძლევს ეს ხელს?“**

საქართველო და მსოფლიო, 6 ივლისი

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებას 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, აპრილში გაემიჯნა. პარტია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ 2008 წლის 19 მარტს დაფუძნდა. ბურჯანაძის ბლოკი 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებში კვალიფიციური სუბიექტი გახდა, თუმცა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში 5%-იანი ბარიერი ვერ გადალახა. ნინო ბურჯანაძე მეორე ქართველი პოლიტიკოსია, ყოფილი პრემიერის ზურაბ ნოღაიდელის შემდეგ, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, 2010 წელს ვლადიმერ პუტინს შეხვდა. 2016 წლის არჩევნებზე ის უბლოკო სტატუსის ინიციატივით გამოვიდა, რაც კონსტიტუციაში ჩანაწერის გაკეთებას ითვალისწინებდა. MDF-ის 2016 წლის მონიტორინგის შედეგად, პარტია ძირითადად ჰომოფობიური განცხადებებით გამოირჩეოდა.

პოპულისტური ნარატივი, თუ ევროპა და დასავლეთი ჰომოსექსუალობის მიმღებლობას ნიშნავს, საქართველომ უარი უნდა თქვას თავის დასავლურ მისწრაფებაზე, თითქმის ყველა პარტიის შემთხვევაში იყო აქტუალური.

დიმიტრი ლორთქიფანიძე, *დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო:* **„ბატონო პრემიერო, თუ ევროპული არჩევანი ბავშვებისთვის ადრეულ ასაკში ჰომოსექსუალიზმის მიმღებლობის სწავლებას უკავშირდება, რაც ნათლად და მკაფიოდ სჭვივის დამხმარე სახელმძღვანელო მეთოდოლოგიებიდან, რომლებიც ევროპის საბჭოს ქარტიის დანართია, ჩვენ არც ასეთი ევროპა გვსურს და არც ის ხელისუფლება, ვისთვისაც მიზნის მიღწევის საშუალებად ყველაფერი მოსულა!“.**

კვირის ქრონიკა, 7-13 მარტი

კრემლისტური პარტიები და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციები აქტიურად ამკვიდრებდნენ აზრს, რომ საქართველო რეალურად დასავლეთიდან იმართება და ადგილობრივი ხელისუფლება არ გამოხატავს ხალხის ნებას:

გია ბურჯანაძე, *დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო:* **„ეს კანონიც [ანტიდისკრიმინაციული] ხომ გარედან მოგვახვიეს თავს?! აბა, იქნებ, შემახსენოთ, ვინ შეეწინააღმდეგა პარლამენტში სახელისუფლებო უმრავლესობიდან ამას?! არავინ! და იცით, რატომ?! იმიტომ, რომ ასე ბრძანა „ძია სემმა“!**

ასავალ-დასავალი, 1-7 თებერვალი

ელიზბარ ჯაველიძე, *სახალხო კრება:* **„გიორგი მარგველაშვილი საქართველოს პრეზიდენტი კი არა, ამერიკის ელჩის თანაშემწეა! ეს არის სწორედ ამერიკის ანტიქართული პოლიტიკა!“**

ასავალ-დასავალი, 18-24 ივლისი

ანტილიბერალური, ეთნონაციონალისტური პარტიები. როგორც სიძულვილის ენის მონიტორინგი ცხადყოფს, პატრიოტთა ალიანსი, რომელიც თურქოფობიის

გაღვივებით გამოირჩევა, აქცენტის გადატანას ქვეყნის ამჟამინდელი საფრთხეებიდან (რუსული ოკუპაცია) ისტორიულ პრობლემებზე (ოსმალეთის იმპერიის ოკუპაცია) ცდილობს, აღვივებს რა ისტორიულ ტრამვას და ამკვიდრებს აზრს, რომ არა მხოლოდ რუსეთია ოკუპანტი, არამედ თურქეთიც[5]. ამავდროულად პარტია ნატოს მხარდაჭერის დელეგიტიმაციას ახდენს, რაც საქართველოს მოსახლეობამ 2008 წლის პლებისციტზე გამოხატა. მიუხედავად მხარდაჭერის გარკვეული კლებისა, საზოგადოებრივი აზრის კვლევების ცხადყოფს, რომ ეს მხარდაჭერა ისევ მნიშვნელოვანია.

დავით თარხან-მოურავი, ***პატრიოტთა ალიანსი:*** **ჩვენი საზოგადოება, რომელსაც 100% უნდოდა ნატოში 15 წლის წინ, დღეს ნახევარზე მეტს აღარ უნდა და ეს იმიტომ ხდება, სწორედ რომ სულ აი, ასეთ ტყუილებში ვიყავით ...**

კავკასია, ბარიერი, 7 ივლისი

ამავე დროს სხვა პარტიებისგან განსხვავებით, პატრიოტთა ალიანსის შემთხვევაში ნატოს მიმართ სკეპტიციზმის გაღვივება უფრო შეფარულად ხდება:

დავით თარხან-მოურავი, ***პატრიოტთა ალიანსი:*** **„ჩვენი პარტიის ირგვლივ გაერთიანდა ისიც, ვისაც ნატო გინდა და ვისაც არ გინდა ნატო... რატო, კაცო? არ არსებობს ეს ნატო და ერთმანეთს ნუ დავკლავთ იმის გამო, რაც არ არის“.**

ობიექტივი, ღამის სტუდია, 23 მაისი

სხვა პარტიების მსგავსად, აქაც ვხვდებით მოსაზრებას, რომ ნატოში ინტეგრაცია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვას გამოიწვევს:

დავით თარხან-მოურავი, ***პატრიოტთა ალიანსი:*** **„როგორ შეიძლება ნატოში გაიცვალოს სოხუმი ან ცხინვალი და დიდი წილი?“**

ობიექტივი, ღამის სტუდია, 23 მაისი

[5] MDF (2016), სიძულვილის ენა. http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/55

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს 1999 წელს დაფუძნდა. პარტია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ქვეყნის ეკონომიკაში ჩარევას ეწინააღმდეგებოდა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე პარტია კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი იყო, მისი ლიდერის გოგი თოფაძის ანტიდასავლური განცხადებების გამო, მრეწველებმა კოალიცია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ დატოვეს, თუმცა არჩევნების შემდეგ მათი ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველები“ კვლავ უმრავლესობაში გაწევრიანდა.

ამასთანავე ვრცელდებოდა მოსაზრება, რომ ევროინტეგრაცია დემოგრაფიულ საფრთხეებს გამოიწვევდა და ამ დროს რასისტული შინაარსის განცხადებაც კეთდებოდა:

> **გიორგი მაღლაკელიძე,** *პატრიოტთა ალიანსი:* **„ჩემთვის ყველანაირი ვიზალიბერალიზაცია მიუღებელია, თუ მე ვალდებულება მექნება ეთნიკურად სხვა ეროვნების, ჩვენთან არათანხვედრი, არაშერწყმადი, გენეტიკური და რელიგიურად ცოტა მძიმე სხვა რელიგიის წარმომადგენელი ადამიანების ესეთი დიდი რაოდენობით მიღება“.**
>
> *ობიექტივი, ღამის სტუდია, 10 მარტი*

გარკვეულ შემთხვევებში ხდებოდა ამერიკის მთავრობისთვის საქართველოს შიდა პრობლემების გადაბრალება:

> **ემზარ კვიციანი,** *პატრიოტთა ალიანსი:* **„თავის დროზე მეც მქონდა ამერიკელების იმედი, მჯეროდა, რომ ყველა უბედურება რუსეთიდან მოდიოდა, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, თუ ამერიკელების დაკვეთით ხდებოდა ეს ყველაფერი ?!“**
>
> *ასავალ-დასავალი, 4-10 ივლისი*

პოპულისტური ნარატივი, დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას და ებრძვის ჩვენს რწმენას და ტრადიციებს, პატრიოტთა ალიანსის შემთხვევაშიც აქტუალური იყო.

> **ირმა ინაშვილი,** *პატრიოტთა ალიანსი:* **„რაც კარგია ვიღებთ დასავლეთისგან, მაგრამ რაც ცუდია, რაც მიუღებელია ჩვენი ქვეყნის ინტერესებისთვის, ჩვენი ტრადიციებისთვის, ჩვენი ზნისთვის, ჩვენი ჩვეულებისთვის, ჩვენი რწმენისთვის, ამას არავითარ შემთხვევაში არ მივიღებთ... ირმა ინაშვილი ხელს არ მოაწერს ერთსქესიანთა ქორწინების კანონს პარლამენტში... ჩემთვის ოჯახი არის ქალის და მამაკაცის ერთობა და**

არანაირი სხვა: არა ქალის და კატის, არა კაცის და მანქანის, არა ნიანგის და რაღაცის კიდე, არამედ ქალის და მამაკაცის, რაც არის ჩემი სარწმუნოებით აღიარებული“.

ობიექტივი, ღამის სტუდია, 7 ოქტომბერი

ირმა ცხორაგაული, *პატრიოტთა ალიანსი:* **„როდესაც ენდიაი, ბენდიაი, აირაი, ტაირაი რომ გვიცხადებენ, ვიღაცა ჰამერიკელები და ევროპელები რომ აი, ამდენი პროცენტია უნდობლობა... არაფერი შეგეშალოთ რა, ჩვენ არა ვართ თქვენი ჯიშის და თქვენი სისხლის... აი, როდესაც ჩვენ სარწუნოებას ეხებით, როდესაც ჩვენს ენას ეხებით, ჩვენც მამულს ეხებით, ჩვენ ყოველთვის ვერთიანდებოდით“.**

ობიექტივი, დილის ეთერი, 26 აგვისტო

ჰიბრიდული პარტიები. კოალიცია „ქართული ოცნების“ გარკვეული წარმომადგენლები 2016 წლის განმავლობაში ოფიციალურად გაცხადებულ პროდასავლურ კურსთან წინააღმდეგობრივ გზავნილებს აკეთებდნენ, რაც კოალიციის ეკლექტურობით აიხსნებოდა. 2016 წლის ზაფხულში, საპარლამენტო არჩევნების წინ ორმა პოლიტიკოსმა (გოგი თოფაძე, თამაზ მეჭიაური), რომელიც ყველაზე მეტად გამოირჩეოდა ანტიდასავლური განცხადებებით, კოალიცია დატოვა, თუმცა როგორც აღინიშნა, გოგი თოფაძის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, არჩევნების შემდეგ კვლავ საპარლამენტო უმრავლესობის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

პატრიოტთა ალიანსი 2012 წლის 19 დეკემბერს დაფუძნდა. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე პარტიამ პირველად მოიპოვა საკრებულოებში წარმომადგენლობა (5,37%), ხოლო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კი ხმების 5,01%-ით – საკანონმდებლო ორგანოში მანდატები. პარტია საკუთარ თავს მემარჯვენე-კონსერვატიულ მიმართულების იდეოლოგიას მიაკუთვნებს. პატრიოტთა ალიანსის ინგლისურენოვან ვებ-გვერდზე[6], რომელიც ქართულად ხელმისაწვდომი არ არის, პარტიის ხედვასა და პროგრამაში პატრიოტიზმი განმარტებულია, როგორც ეროვნულ სულთან შესაბამისობაში მოქმედება, რაც მათივე განმარტებით, ქართულ სულს გულისხმობს. ქართული სულის ტოლერანტობა, პატრიოტთა ხედვის თანახმად, სხვა ერებისგან ყველაფერი კარგის მიმღებლობისთვის მზაობას გულისხმობს, თუმცა ამავე დროს ხაზი ესმება მშობლიური ქართულის უპირატესობას. ინგლისურენოვან ვებ-გვერდზე პარტიას დეკლარირებული აქვს ევროკავშირში ინტეგრაციის სურვილი და გამოთქმული აქვს სკეპტიციზმი საქართველოს ნატოში ინტეგრაციის რეალურ პერსპექტივასთან დაკავშირებით. პარტია ტვ „ობიექტივთან“ არის დაკავშირებული და აღნიშნული მედია საშუალების მსგავსად, თურქოფობიითა და ჰომოფობიით გამოირჩევა.

[6] http://patriots.ge/our-vision-program/

იდენტობასთან დაკავშირებული საკითხები მმართველი პოლიტიკური გუნდის ნარატივში მას შემდეგაც ფიგურირებდა, რაც კოალიცია რამდენიმე სუბიექტმა დატოვა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ „ქართული ოცნება“ კონსტიტუციაში ოჯახის, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობის დეფინიციის შეტანის ინიციატივით გამოვიდა, რაც ჰომოფობიურ და ანტიდასავლურ დისკურსს აძლიერებდა.

„ქართული ოცნება“ 2012 წლის თებერვალში ქართველმა მილიარდელმა – ბიძინა ივანიშვილმა დააფუძნა და დააფინანსა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში კოალიციამ „ქართული ოცნება“ ხმათა 54%-ით გაიმარჯვა, საპარლამენტო უმრავლესობა მოიპოვა, რითაც ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის პირველი პრეცედენტი შეიქმნა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ კოალიცია, რომელიც 6 სუბიექტისგან შედგებოდა დაიშალა, ხოლო პარტიამ არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა. საპარლამენტო უმრავლესობაში ქართული ოცნების გარდა, ამჟამად ისევ შედიან მრეწველები, კონსერვატორები, მწვანეები, სოციალ-დემოკრატები და ფრაქცია რეგიონული განვითარებისთვის. კოალიციაში შემავალი ცალკეული სუბიექტები ანტიდასავლური, ჰომოფობიური და ქსენოფობიური განცხადებებით გამოირჩეოდნენ.

ნუკრი ქანთარია, *ქართული ოცნება:* **„არის ქვეყნები, სადაც გადაღებულია კლიპები – საბავშვო ბაღში შემოდის მასწავლებელი და ამბობს, აბა, ვის ჰყავს ორი მამა? და უკრავენ ტაშს. შემდეგ გამოდის ისევ და კითხულობს, აბა, ვის ჰყავს ორი დედა? და ისევ უკრავენ ტაშს. მე არ მგონია, რომ, აი, ის ბავშვები გაიზრდებიან ჯანსაღი და სრულყოფილი ფსიქიკის. ჩვენ ვართ ძალიან ცოტანი, გავუფრთხილდეთ ჩვენს ჯიშს და ჩვენს მომავალს“.**

მარშალპრესი, 27 მაისი

კრემლისტური პარტიების მსგავსად, „ქართულ ოცნების“ შემთხვევაშიც მისი ცალკეული წარმომადგენლები ეჭვქვეშ აყენებდნენ ნატოზე ჩატარებულ პლებისციტს და ახლის ჩატარებას მოითხოვდნენ, ნატოში ინტეგრაცია ასევე წარმოდგენილი იყო, როგორც ოკუპირებული ტერიტორიების დაკარგვის ტოლფასი ქმედება.

ომარ ნიშნიანიძე, ქართული ოცნება: „მაგრამ გვინდა კი ნატო-ში შესვლა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გარეშე? წარმოგვიდგენია? მე ვერ წარმომიდგენია. შესაბამისად, მარტო ჩვენ ვიძახოთ ნატო და მერე სახელმა დაგვაზიანოს, ასეც არ გამოვა“.

კვირის ალია, 2016 წელი, 2-8 მაისი

ამასთანავე სირიაში რუსეთის სამხედრო ქმედებების გამართლებას და რუსეთთან მოლაპარაკებების უპრატესობას, კრემლისტური ძალების მსგავსად, კოალიციის წარმომადგენელიც ახდენდა:

გოგი თოფაძე, ქართული ოცნება/მრეწველები: „უბრალოდ, იმ ხუთმა თვემ, რომელთა განმავლობაშიც რუსეთმა იომა სირიაში და ხმამაღლა აუწყა მსოფლიოს, ისევ დავიბრუნე ზესახელმწიფოს სტატუსიო, ყირაზე დააყენა გეოპოლიტიკა, ე.წ. ერთპოლუსიანი სამყარო მოკვდა. და იმის მაგივრად, ჭკუას ვუხმოთ, დავჯდეთ და რუსებს მოველაპარაკოთ, ხიდაშელი ჯიუტობს და გაჰკივის: „ნატოოო“. ნეტავ, რამის გამკეთებელი იყოს!“

საქართველო და მსოფლიო, 6 აპრილი

2.3. საზოგადოებრივი ორგანიზაციები

გამოვყავით ის 5 საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ყველაზე ხშირად გამოირჩეოდა ანტიდასავლური გზავნილებით, მეტწილად იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. აღნიშნული ორგანიზაციების უმრავლესობა ძირითადად 2012 წლის შემდეგ არის დარეგისტრირებული. ამასთანავე პირდაპირი კავშირები რუსეთთან, damoukidebloba. com-ის კვლევის მიხედვით, „ევრაზიული ინსტიტუტის“ და „გლობალური კვლევების ცენტრის“ შემთხვევაში იკვეთება. აღნიშნულ ორგანიზაციებს კავშირი აქვთ რუსეთის აგრესიული ექსპანსიური პოლიტიკის იდეოლოგის, ალექსანდრ დუგინის ორგანიზაცია „საერთაშორისო ევრაზიულ მოძრაობასთან“, ასევე „ლევ გუმილევის ცენტრთან“.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები	დაფუძნების თარიღი	ანტიდასავლური გზავნილების რაოდენობა
უფლებადამცველთა გაერთიანება	2012	24
ევრაზიული ინსტიტუტი/ნეიტრალური ევრაზიული საქართველო	2009	14
მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი	არ არის რეგისტრირებული	14
გლობალური კვლევების ცენტრი	2013	7
„სტალინი“	2013	5

2.4. საზოგადოების წარმომადგენლები

ყველაზე ხშირად საზოგადოების მხრიდან ანტიდასავლურ განწყობებს ტელეკომპანია „ობიექტივის“ მაყურებლები სატელეფონო ჩართვის ფორმატში გამოხატავდნენ. ანტიდასავლური ნარატივის მხრივ მედიაში ასევე ხშირად ჩნდებოდა ეთნოცენტრისტი ბიზნესმენი ლევან ვასაძე, რომელმაც თავისი კაპიტალი რუსეთში დააგროვა. კრემლისტურ გზავნილებს ასევე ახმოვანებდა მოსკოვში მოღვაწე პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია, რომელიც 2008 წლის ივლისში ვლადიმირ პუტინმა „რუსეთთან თანამშრომლობისა და მეგობრობის სფე-

საზოგადოება	რაოდენობა
მაყურებელი/მოქალაქე	41
გივი სომხიშვილი	25
ლევან ვასაძე	22
მიხეილ ცაგარელი	13
სოსო ცინცაძე	13
ჰამლეტ ჭიპაშვილი	12
ალექსანდრე ჭაჭია	10
რეზო ამაშუკელი	8

სასულიერო პირები	რაოდენობა
გიორგი რაზმაძე	12
დავით ისაკაძე	9
დავით ქვლივიძე	7
ბასილ მკალავიშვილი	6

როში შეტანილი წვლილის გამო“ ორდენით დააჯილდოვა. Damoukidebloba.com-ის კვლევის მიხედვით, ჭაჭია „საქართველო და მსოფლიო“-ს დამფუძნებელი ორგანიზაციის, „ისტორიული მემკვიდრეობის“ საზოგადოებრივი საბჭოს წევრია. სხვა სპიკერები, რომლებიც ანტიდასავლურ ნარატივს ავითარებდნენ ე.წ. საბჭოთა ინტელეგენციას განეკუთვნებიან, რომლებიც ანტილიბერალური, ეთნონაციონალისტურ განწყობებს აღვივებდნენ.

2.5. სასულიერო პირები

ცხრილში მოცემული სასულიერო პირები ყველაზე მეტად გამოირჩეოდნენ ანტიდასავლური რიტორიკით, მათგან მხოლოდ ბასილ მკალავიშვილი არ წარმოადგენს ამჟამად საქართველოს საპატრიარქოს, რადგან მისი განკვეთა 1996 წელს მოხდა. ბასილ მკალავიშვილი ექსტრემისტული ქმედებების გამო, რაც იეჰოვას მოწმეებსა და ბაპტისტებზე თავდასხმებში და მათი ლიტერატურის განადგურებაში გამოიხატა, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებამ 2004 წელს დააპატიმრა, სასამართლომ კი მას 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

3 პროპაგანდის მეთოდები და რუსული წყაროები

პროექტ „მითების დეტექტორის“ ფარგლებში მედიის განვითარების ფონდმა 2016 წელს 65 ინფორმაცია გადაამოწმა. ამ კატეგორიაში მოხვდა არა მხოლოდ მონიტორინგის დაკვირვების ქვეშ მყოფი მედიები, არამედ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით სოციალურ მედიაში გავრცელებული დეზინფორმაციებიც. 65-დან 37 შემთხვევაში დეზინფორმაციის წყარო თავად მედია იყო და ინფორმაცია ერთდროულად რამდენიმე მედია საშუალებით გავრცელდა, 28-ის წყარო კი – სხვადასხვა რესპონდენტები.

მედია. მედია ძირითადად დეზინფორმაციული ინფორმაციის გავრცელებისას არ ახდენდა წყაროს მითითებას. დამატებითი ინფორმაციის მოძიების შედეგად, ანალოგიური დეზინფორმაციები ხშირად რუსულენოვან ან ინგლისურენოვან სატირისტულ-იუმორისტული გამოცემების სახალისო, გამოგონილ ამბებში მოვიძიეთ, რომელთაც მედია როგორც რეალურ ინფორმაციას ასაღებდა. გასავრცელებელი გზავნილის ლეგიტიმაციისთვის ხშირად პროპაგანდისტული პლატფორმები მალავენ პირველწყაროს.

დეფლექციურ ანუ წყაროს არიდების მოდელს პროპაგანდაში აქტიურად იყენებენ. გზავნილის მიმღები ინფორმაციას პირდაპირ იმ მედიუმისგან მიღებულად აღიქვამს, სადაც ეცნობა გზავნილს და არ აკავშირებს მას თავდაპირველ წყაროსთან. მიზანი არის დაიმალოს გზავნილის თავდაპირველი წყარო, შექმნას მაღალი ხარისხის ნდობა როგორც გზავნილის, ასევე იმ წყაროს მიმართ, რომლითაც ვრცელდება ინფორმაცია. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს იმ რუსულენოვან და სხვა პლატფორმებს, სადაც ქართული მედია საშუალებების იდენტური „ფეიქ“ მასალები გამოქვეყნდა. დიგარამაზე წითელი ფერით მხოლოდ ის რუსულენოვანი მედიებია ასახული, რომელთა იდენტიფიცირება მასალაში ღიად მოხდა. უმეტეს შემთხვევაში ქართული მედია არ ახდენს რუსულენოვანი პირველწყაროების იდენტიფიცირებას.

დიაგრამა 12. დეზინფორმაციის რუსულენოვანი წყაროების დამალვის დეფლექციური მეთოდი





რაც შეეხება პროპაგანდის მეთოდებს, ძირითადად მედია საშუალებების მიერ შემდეგი პროპაგანდისტული მეთოდების გამოყენება ხდებოდა:

- დეზინფორმაცია (ფეიქ ნიუსი),
- კონსპირაცია,
- დემონიზება,
- საბჭოთა მითები,
- სატირისტულ-იუმორისტული პუბლიკაციების რეალურ ინფორმაციად გაშუქება,
- შეცდომაში შემყვანი სათაურები,
- ფოტო და ვიდეომანიპულაცია.



რესპონდენტები. რესპონდენტები დეზინფორმაციას ძირითადად იმ მედიებში ავრცელებდნენ, რომლებიც პროპაგანდისტულ პლატფორმებს წარმოადგენენ და გაცხადებული ანტიდასავლური სარედაქციო პოლიტიკა აქვთ. მეინსტრიმულ მედიაში კი ხშირად ჟურნალისტთა საკითხში გაუთვიცნობიერებლობა განაპირობებდა საკითხის უკრიტიკოდ ტირაჟირებას.

თემატიკა. მითების დეტექტორის მიერ გამოვლენილი დეზინფორმაციები ჩვენ 7 კატეგორიად დავყავით, რომელთაგან ყველაზე მეტი მასალა ევროპის ქვეყნებს და ევროპულ ინსტიტუტებს (ევროკავშირი, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო უკავშირდებოდა (23), შემდეგ მოდის ამერიკის შეერთებული შტატები (18), დასავლეთი (6), სხვადასხვა (6), NATO (5), საბჭოთა მითები (5), არასამთავრობო ორგანიზაციები (2).

ევროპული ქვეყნები / ევროსტრუქტურები

პროპაგანდის მეთოდი	გზავნილი	წყარო	იდენტური რუსული ან სხვა წყაროები	რეალური ფაქტები
დეზინფორმაცია/ მედია	ევროსასამართლოს გადაწყვეტილება დამ-საქმებელს დასაქმებულის პირადი მიმოწერის გაკონტროლების უფლებას აძლევს. *22 იანვარი, 2016*	intermedia.ge. reportiori.ge commersant.ge news.ge		ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართ-ლოს 2016 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება „ბარბულესკუ რუმინეთის წინააღმდეგ" შეეხება კომპანიის YAHOO MESSENGER-ის სამსახურებრივი მიზნებისთვის გამოყენების კორესპონდენციის შემოწმებას და არა პირადი მეილის.
	ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით ჩვილ ბავშვთა ნათლობა იკრძალება. *28 იანვარი, 2016*	Mediacity.ge news.vitube.ge	**პირველწყარო, იტალიური გამოცემა ilgiomale.it** **რუსული გამოცემა: kominform.ru**	მსგავსი გადაწყვეტილება ევროსასამართ-ლოს ოფიციალურ გვერდზე არ იძებნება და იტალიური გამოცემა THELOCALS.IT-ის ცნობით, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო მის არსებობას უარყოფს. ენდრიუ მაკფარელი, რომელსაც KOMINFORM.RU თავის წყაროდ ასახელებს, THE TIMES-ის რედაქციის ცნობით, მათ გამოცემაში არ მუშაობს.
	ბრიტანეთი პედოფილებისა და ჰომოსექსუალების რეაბილიტაციას იწყებს. *10 ნოემბერი, 2016*	**ასავალ-დასავალი**		კანონი, რომელზეც „ასავალ-დასავალი" მიუთითებს და „ალან ტურინგის" სახელით არის ცნობილი, პედოფილიისთვის გასამართ-ლებულებისთვის ნასამართლეობის მოხსნას არ ითვალისწინებს, რადგან პედოფილია ბრიტანეთში დღესაც სისხლის სამართლის დანაშაულია. რეაბილიტაცია მხოლოდ ჰომო-სექსუალური ურთიერთობებისთვის გასამარ-თლებულებს შეეხება.

დანიის სასამართლომ, მაროკოელი მიგრანტის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი 17 წლის ანა სკოვმანდი დამნაშავედ გამოაცხადა. *25 მაისი, 2016*	**ასავალ-დასავალი**	twopercen-tdaily.com news2.ru, politikus.ru Mylove.ru	ანა სკოვმანდი არ ყოფილა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, თავდამსხმელები ფიზიკურად გაუსწორდნენ დანიის მოქალა-ქეებს. სასამართლომ არა სკოვმანდი, არამედ თავდამსხმელებს მიუსაჯა პატიმრობა
ლიბანში სტუმრობისას გაეროს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა განცხადა, რომ ჩვენ თვალს ვადევნებთ ისეთი ქვეყნების ფაქტობრივ კვდომას, როგორებიცაა ლატვია,ლიტვა,ესტონეთი და უკრაინა. *3 მაისი, 2016*	**ასავალ-დასავალი**	**Конт და lanewstoday.ru** **lanewstoday.ru -ს ვერსიაში გაეროს გენერალურმა მდივანმა უკრაინას და ბალტიის ქვეყნებს თვითგანად-გურებისკენ მოუწოდა: "Генсек ООН призвал Украину и страны Прибалтики — самоунич-тожиться".**	არც გაეროს ოფიციალურ გვერდზე, არც და-სავლურ გამოცემებში მოიძებნება განცხადება, სადაც გენერალური მდივანი 2016 წლის 24-28 მარტს ლიბანში, იორდანესა და ტუნისში ვიზი-ტის დროს მსგავსს განცხადებას აკეთებს.
შვეიცარიაში მაკდონალდსის ქსელის ყველა რესტორანი დაიხურა მას შემდეგ, რაც „ევრო-კომისარმა სოფლის მეურნეობის საკითხებში დაჩან ჩოლოშმა ევროპის ბევრი ქვეყნიდან მიიღო 120-ზე მეტი განცხადება, საკანონმდებ-ლო დონეზე აკრძალონ ფასტფუდები“. *21 ივნისი, 2016*	**ბანკები და ფინანსები,** The Georgian Time	Pravda.ru	მაკდონალდსის ქსელი შვეიცარიაში დღემდე ფუნქციონირებს, რასაც აღნიშნული ქსელის ვებ-გვერდიც მოწმობს. შვეიცარია ევროკავ-შირის წევრი ქვეყანა არაა.
ევროკავშირი ხორვატიაში ხახვის თესვას კრძალავს. *22 ივლისი, 2016*	**დავით აქუბარდია, ტვ კავკასია**		არ არსებობს, ევროკავშირის რაიმე რეგუ-ლაცია ან დირექტივა, რომელიც ხორვატიაში ხახვის წარმოებას ზღუდავს.
ევროკავშირი ღორების პასპორტიზაციას გვავალდებულებს. *23 დეკემბერი, 2016*	**იბერია TV** kutaisitoday.com News TV tb24.ge	twopercen-tdaily.com news2.ru, politikus.ru Mylove.ru	ღორის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მისი სადგომის რეგისტრაციის წესი არ ითვა-ლისწინებს ღორების პასპორტიზაციას

დეზინფორმაცია/ შეცდომაში შემყვანი სათაური/მედია	სათაური: „ანგელა მერკელმა მხარი დაუჭირა ევროკავშირის და რუსეთის ერთიანი სავაჭრო ზონის შექმნას". *30 ივნისი, 2016*	The Georgian Times		რეალურად Frankfurter Allgemeine Zeitung-ის სტატიის მიხედვით, რომელიც Georgian Times-ს წყაროდ ჰყავს მითითებული, მეკლენბურგის ყრილობაზე ანგელა მერკელმა აღნიშნა, რომ მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთი შეასრულებს მინსკის ხელშეკრულების ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს, შესაძლებელია საუბარი ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების მოხსნაზე.
	ევროპარლამენტმა რუსული მართლმადიდებლური ეკლესია ტერორიზმს გაუთანაბრა. *7 დეკემბერი, 2016*	Mediacity.ge	Рия Новости Channel One Россия 1	23 ნოემბერს, ევროპარლამენტის მიერ რუსეთისა და ისლამისტური ტერორისტული დაჯგუფებების პროპაგანდის ზრდის შესახებ მიღებული რეზოლუცია მკაფიოდ მიჯნავს ერთმანეთისგან სახელმწიფო (რუსეთი) და არასახელმწიფო აქტორებისგან (დაეში/ISIS) მომდინარე პროპაგანდას, ხოლო რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია რეზოლუციის ტექსტში საერთოდ არაა ნახსენები.
	სათაური: „გერმანია და საფრანგეთი ევროკავშირის გაუქმების ინიციატივით გამოვიდნენ". *29 ივნისი, 2016*	სააგენტო PIA		რეალურად პოლონური გამოცემების (TV TVP-ს და „პოლონურ რადიოს") მასალებში, რომელსაც PIA ინფორმაციის წყაროდ უთითებს საუბარია არა ევროკავშირის დაშლაზე, არამედ ევროინტეგრაციის ახალ ხედვაზე, ე.წ. „ზესახელმწიფოს" შექმნაზე, რაც გერმანიისა და საფრანგეთის ინიციატივაა.
დეზინფორმაცია/ დემონიზება/ ფოტომანიპულაცია/მედია	ინგლისური კომპანია Human Leather ადამიანის ტყავისგან ტანსაცმელს ამზადებს. *11 აპრილი, 2016*	ასავალ-დასავალი	Журналистская Правда	მასალაში მითითებული კომპანიის ვებ-გვერდი humanleather.co.uk ფეიქ-საიტია, ფოტოზე გამოსახულია ფრანგი დიზაინერის ოლივიერ გულიეს ნამუშევრები, რომელიც საკუთარ კოლექციებში ადამიანის კანის იმიტაციის ტექსტილს იყენებს.
	ახლადდაბადებული ალიგატორის გაუპატიურების მცდელობისას ნეაპოლელი ზოოპარკის თანამშრომელი დიდმა ალიგატორმა შეჭამა. *18 აგვისტო, 2016*	საქართველო და მსოფლიო	პირველწყარო: სატირული გამოცემა World News Daily Report Сегодня, Makataka, Pure, Eg.ru, Пенза-Взгляд	მასალის პირველწყაროა სატირული გამოცემა WORLD NEWS DAILY REPORT, რომელიც გამოცემის განცხადში უთითებს, რომ მათი სატირული სტატიების პერსონაჟები გამოგონილია. ჯიმი ოლსენი კომიქსის პერსონაჟია. მასალის თანმხლებ ფოტოზე გამოსახულია არა ჯიმი ოლსენი, არამედ შოტლანდიელი გევინ ჰარტი.

სატირულ-იუმორისტული პუბლიკაციების რეალურ ინფორმაციად გაშუქება/ფოტო-მანიპულაცია/ მედია	რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით 17 აპრილიდან რუსეთის მოქალაქეები ევროპაში უვიზოდ გამგზავრებას შეძლებდნენ. *15 აპრილი, 2016*	**Politicano-ს ფეისბუკ გვერდზე გაზი-არებული იყო რუსულენოვა-ნი ონლაინ გა-მოცემა „Конт“ -ის შემდეგი ინფორმაცია.**	**პირველწყარო Gorabbit.ru**	Конт-ის ინფორმაციის პირველწყარო რუსუ-ლენოვანი Gorabbit.ru -ა, რომელსაც სტატიის დასასრულს ერთვის მინაწერი, რომ აღნიშნუ-ლი პუბლიკაცია საპირველაპრილო ხუმრობას წარმოადგენს.
დეზინფორმაცია/ რესპონდენტები	ევროპაში შვილს არავინ გაუშვებს, სადაც ხალხს ქუჩაში ღიად აუპატიურებენ. *5 თებერვალი, 2016*	**სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი გაზეთი „კვირის ქრონიკა“**		რუსული მედიის გავრცელებული ინფორმაცია თითქოს გერმანიის ქალაქ კიოლნში 13 წლის რუსი გოგონა ჩრდილოეთ აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან გერმანიაში ჩასულმა მიგრანტებმა გააუპატიურეს, გამოძიებით არ დასტურდება.
	ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა საქართველოს მოქალაქეებს არავითარ შეღავათს არ აძლევს. *28 მარტი, 2016*	**სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი გაზეთი „ალია“**		ამჟამად საქართველოს მოქალაქეებს შენ-გენის ზონაში მოსახვედრად 7 ეტაპის გავლა ჭირდებათ. ევროკავშირთან ვიზალიბერა-ლიზაციის წარმატებით დასრულების შემდეგ ბიომეტრიული პასპორტის მქონე საქართ-ველოს მოქალაქეს აღარ დაჭირდება ვიზა და მხოლოდ ორი სავალდებულო ეტაპის გავლა მოუწევს.
	ევროკავშირთან რეადმისიის შესახებ გაფორმებული შეთანხმება საქართველოს სირიელ ლტოლვილთა მიღებას ავალდებულებს. *5 თებერვალი, 2016*	**დიმიტრი ლორ-თქიფანიძე: „დემოკრატი-ული მოძრა-ობა – ერთიანი საქართველო“**		საქართველო განახორციელებს მესამე ქვეყ-ნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირთა რეადმისიას, მხოლოდ იმ პირობით, თუ პირები: 1) რეადმისიის განაცხადის წარდგენის დროს ფლობდნენ საქართველოს მიერ გაცე-მულ მოქმედ ვიზას ან ბინადრობის უფლებას; ან 2) საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ან მისი ტერიტორიის ტრანზიტის გავლის შემდეგ, უკანონოდ და პირდაპირ შევიდნენ წევრ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე.
	ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) კვლევები არ ტარდება. *21 იანვარი, 2016*	**თამარ ცინცაბაძე, დემოკრატული მოძრაობა – ერთიანი საქართველო „რუსთავი 2“**		NDI-იც IRI-იც მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, მათ შორის ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქმიანობენ, ხოლო ევროკავშირში თუ მის ცალკეულ ქვეყნებში დემოკრატიის მხარდამ-ჭერი სხვადასხვა საერთაშორისო ფონდები იქმნება.

	რუსულს ბაზარს ევროკავშირთან მიმართებით საქართველოსთვის უპირატესობა აქვს. ქვეყნები თავად ცდილობენ რუსულ ბაზარზე დაბრუნებას. *17 მარტი, 2016*	**ზურაბ ჩეკურიშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი, „სპუტნიკ-საქართველო“**		ევროკავშირი მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარია, რომელიც 500 მილიონ მომხმარებელს აერთიანებს და რომლის მთლიანი შიდა პროდუქტი 18 ტრილიონ აშშ დოლარს აღემატება. 2014 წლის სექტემბერში ძალაში შევიდა შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA). ევროკავშირის ქვეყნებთან საბაჟო ტარიფები გაუქმდა და ქართველ ექსპორტიორებს მსოფლიოს უმსხვილეს ბაზარზე ფეხის მოკიდების დამატებითი შესაძლებლობები მიეცათ.
	ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება საქართველოს გენმოდიფიცირებული პროდუქტის იმპორტს ავალდებულებს. *20 აპრილი, 2016*	**გოგი თოფაძე, ქართული ოცნება/ მრეწველები Interpressnews**		ევროკავშირთან ხელმოწერილ ასოცირების ხელშეკრულებაში, მის ეკონომიკურ ნაწილში (DCFTA) არ არის არანაირი ვალდებულება, რომელიც საქართველოს გენმოდიფიცირებული (გმ) პროდუქციის იმპორტს დაავალდებულებს.
	ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია პირდაპირპროპორციულად გაზრდის ნარკომომხმარებელთა რაოდენობას და ამის მაგალითია ევროპის ქვეყნები, მაგალითად, ჰოლანდია. *22 აგვისტო, 2016*	**გიორგი რაზმაძე, სასულიერო პირი „საქართველო და მსოფლიო“**		რანდის კორპორაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 15-34 წლის ჰოლანდიელებში კანაფის მოხმარების საშუალო მაჩვენებელი 1998-2005 წლებში უფრო ნაკლებია, ვიდრე ევროპის რამდენიმე ქვეყანაში.
	ევროკავშირი გვაიძულებს შემოვიღოთ სამოქალაქო განათლების საგანი „მე და საზოგადოება“, რომელიც ჰომოსექსუალობის და გარყვნილი ცხოვრების წესს ამკვიდრებს *29 თებერვალი, 2016*	**საზოგადოების წარმომადგენლები, სასულიერო პირები**		საგნის „მე და საზოგადეობა“ მიზანია მოზარდებს მიაწოდოს ცოდნა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა გარემომცველი სამყარო (ოჯახი, სკოლა, თემი), ჯანსაღი ცხოვრების წესი, სოციალური უნარების განვითარება, გარემოს დაცვა და სხვა.
	ოჯახში ძალადობის შესახებ კანონპროექტი ოჯახის ინსტიტუტის ნგრევას ითვალისწინებს და ევროკავშირის დირექტივაა. *10 აგვისტო, 2016*	**სასულიერო პირების განცხადება, დავით ისაკაძე „საქართველო და მსოფლიო“**		სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის ოჯახიდან განცალკევების პრაქტიკა ემსახურება ბავშვის უსაფრთხოების დაცვასა და მის ინტერესებს.

აშშ

პროპაგანდის მეთოდი	გზავნილი	წყარო	იდენტური რუსული ან სხვა წყაროები	რეალური ფაქტები
დეზინფორმაცია/ რესპონდენტები	ანაკლიაში პორტის ნაცვლად ამერიკული სამხედრო-საზღვაო ბაზა შენდება *1 დეკემბერი, 2016*	**ნოდარ წივწივაძე, ოკეანოგრაფი SPUTNIK-ი საქინფორმი**	**РИА Новости**	ანაკლიის განვითარების კონსორციუმი აშენებს პორტს, რომელიც 10,000-კონტეინერიანი (TEU) პანამაქსის და პოსტპანამაქსის ტიპის გემების მიღებას მოემსახურება.
	აშშ ეწინააღმდეგება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან და ხალხებთან დაახლოებას *18 ივლისი, 2016*	**ალექსანდრე ჭაჭია, პოლიტოლოგი, „ასავალ-დასავალი“**		ამერიკის მთავრობა აფინანსებს არაერთ პროექტს, რომელიც ხელს უწყობს სახალხო დიპლომატიას ოკუპირებული ტერიტორიების მცხოვრებლებთან.
	სირიაში აშშ-ის მეთაურობით შექმნილი კოალიციის ბრძოლა „ისლამურ სახელმწიფოსთან" რეალურ ტერორიზმთან ბრძოლის იმიტაციაა *11 იანვარი, 2016*	**მარია ზახაროვა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი „სპუტნიკ-საქართველო“**		სირიაში სამოქალაქო ომის დასაწყისიდანვე ვაშინგტონმა მხარდაჭერა სირიის ოპოზიციას გამოუცხადა და ასადის მთავრობასთან კავშირი გაწყვიტა. THE CARTER CENTER - ის მონაცემებით, 2015 წელს რუსული ავიადარტყმების დაახლოებით 85 % -ის სამიზნე არ ყოფილა ისლამური სახელმწიფო, არამედ ოპოზიცია.
	აშშ-იდან საქართველოში არცერთი პირდაპირი ინვესტიცია განხორციელებულა *27 დეკემბერი, 2016*	**დიმიტრი ლორთქიფანიძე, დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო „ტვ კავკასია“**		ევროკავშირის ქვეყნებმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1997 წლიდან მოყოლებული საქართველოში ჯამში 7, 458 381 მილიონი აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განახორციელეს მაშინ, როდესაც რუსეთის შემთხვევაში, იგივე მაჩვენებელი 603, 730 ათასი აშშ დოლარია.
	ამერიკა არ ეხმარება საქართველოს, სადაც არცერთი ამერიკული ბრენდი არ შემოსულა *18 აგვისტო, 2016*	**ზვიად ჩიტიშვილი, „ჩვენი სამშობლო“ გაზეთი „ასავალ-დასავალი“**		საქართველოში 20-მდე ამერიკული ბრენდია შემოსული.
	ამერიკულმა კარტოფილმა სვანეთში ტრადიციული ქართული კარტოფილი გადააშენა. *6 ოქტომბერი, 2016*	**რობერტ სტურუა, რეჟისორი**		სვანეთში ამერიკული წარმოების სათესლე მასალა არ შესულა, უცხოური ჯიშების შეტანამდე სვანეთში კარტოფილის მოსავლიანობა დაბალი იყო.

	ამერიკაში სუპერმარკეტების პლასტიკური ბარათებით არჩევნებში ხმის მიცემაა შესაძლებელი *13 სექტემბერი, 2016*	**ნანა დევდარიანი, გლობალური კვლევების ცენტრი ტვ ობიექტივი**		სხვა ქვეყნების მსგავსად, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც არჩევნებზე ხმის მიცემისთვის საჭიროა პირის იდენტიფიცირება, რაც სახელმწიფოს მიერ გაცემული იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე ხდება.
	რიჩარდ ლუგარის ლაბორატორია საქართველოსთვის საფრთხეა. 4 აგვისტო, 2016	**გლობალური კვლევების ცენტრი გაზეთი „ალია“, ფასიანი სტატია საქინფორმი, საქართველო და მსოფლიო**	**Sputnik-ი "Кавказское сотрудни-чество", regnum.ru იდენტურ თემაზე 2015 წელს ტვ „ობიექტივის „ეთერში ტელეკომპანია МИР-ის, РОССИЯ 24-ის, 31 КАНАЛ-ისა და RBK TV-ის სიუჟეტები გავიდა**	საქართველოში ამერიკის მთავრობის დახმარებით შექმნილი რიჩარდ ლუგარის სახელობის ლაბორატორია არის უნიკალური შესაძლებლობა, რომ რეგიონი დაცული და უსაფრთხო იყოს აღმოჩენილი ან გავრ-ცელებული ეპიდემიებისგან და სხვადასხვა სახის ბიოლოგიური კატასტროფებისგან, საწყის დონეზე მოახდინოს დიაგნოზირება და შეაჩეროს ეპიდემიების გავრცელება როგორც ადამიანებში, ასევე ცხოველებში (მაგ. ებოლა, ღორის გრიპი, ქათმის გრიპი და ა.შ
სატირულ-იუმორისტული პუბლიკაციების რეალურ ინფორმაციად წარმოჩენა/ რესპონდენტები	დემოკრატების ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი ერთსქესიანთა ქორწინების მხარდაჭერაზე უარის შემთხვევაში, კათოლიკურ ეკლესიას ქვეყნიდან გაძევებით დაემუქრა.	**ნიკოლოზ მუავანაძე, უფლება-დამცველთა გაერთიანება**	Therightists.com	სინამდვილეში, ტიმ კეინს ამგვარი განცხადება არ გაუკეთებია და ეს ფრაზა, სატირულმა ვებ-პორტალმა Therightists.com გაავრცელა. გამოცემის შესახებ ინფორმა-ციაში აღნიშნულია: „ეს არის ახალი ამბების და სატირის ჰიბრიდული ვებ-გვერდი. ჩვენი ამბების ნაწილი უკვე მოხდა, ნაწილი კი ჯერ არა. ყველა ჩვენი ამბავი არაა მართალი“.
დეზინფორმაცია/ მედია	ამერიკელმა სამხედროებმა ბაღდადის მუზეუმი გაძარცვეს. *13 დეკემბერი, 2016*	**„საქართველო და მსოფლიო“**	**Аргументы и факты, «Свободная пресса", sovsekretno.ru, vpressa.ru**	აშშ-ის ძალები ბაღდადის მუზეუმის ძარცვის დროს მუზეუმიდან 2400 კმ-ის მოშორებით იყვნენ განთავსებულნი.
	აშშ-ის ჯარების ავღანეთში შესვლის შემდეგ იქ ნარკოტიკების წარმოება 40-ჯერ გაიზარდა.	**„საქართველო და მსოფლიო“, ნიკოლაი სტარიკოვის წიგნის ფრაგ-მენტი, „კრიზისი: როგორ კეთდება?“**	Russia Today	გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) 2015 წლის მონაცემებით, წინა წელთან შედარებით ხაშხაშის კულტივაციის სრული ფართობი მთელი ქვეყნის მასშტაბით 19%-ით შემცირდა.

	ამერიკელი პროფესორი ანტისიმსივნური აბების შექმნის გამო მოკლეს. *2 ნოემბერი, 2016*	**გია ალექსიძე, პროფესორი** **ასავალ-დასავალი**		ოფიციალური ვერსიით, ბრედსტრიტმა 2015 წლის 19 ივნისს თავი მოიკლა, მას შემდეგ, რაც მისი სამედიცინო ცენტრის ჩხრეკის ორდერი გაიცა, რაც კონტრაბანდის ან არალეგალურად შეძენილი ნივთების მტკიცებულებების მოძიებას შეეხება.
დეზინფორმაცია/ დემონიზება/ მედია	9/11 ტერაქტი აშშ-ის მთავრობის მოწყობილია. *11 ოქტომბერი, 2016*	**საქართველო და მსოფლიო**		Popular Mechanics-ის ჟურნალისტებმა 11 სექტემბრის ტერაქტის შესახებ გავრცელებულ 25 შეთქმულების თეორიას გამოცემაში „9/11-ის მითების მსხვრევა“ მოუყარეს თავი, სადაც კონკრეტული მტკიცებულებები და ფაქტებია წარმოდგენილი გავრცელებული მითების უსაფუძვლობის საილუსტრაციოდ.
	ამერიკული კვლევითი ინსტიტუტები ითხოვენ აღდგეს სამთავრობო დაფინანსების პროგრამა, რომლითიც შესაძლებელი იქნება ადამიანისა და ცხოველების შეჯვარების ექსპერიმენტები *1 სექტემბერი, 2016*	**გაზეთი „ასავალ-დასავალი“**	**Tsarigrad TV**	აშშ-ის ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტი ითხოვს სამთავრობო დაფინანსების მოპოვებას გასტრულაციის ეტაპზე ცხოველის ემბრიონში ადამიანის ღეროვანი უჯრედების გადანერგვისთვის, რაზეც 2015 წლის სექტემბრიდან მორატორიუმი იყო გამოცხადებული. ექსპერიმენტი გულისხმობს ცხოველის ემბრიონში ადამიანის უჯრედებისა და ორგანოების გაზრდას და არა შეჯვარებას.
დემონიზება/ ფოტო მანიპულაცია/ მედია	ამერიკაში, მძიმე სამუშაოებში გამოყენების მიზნით, ადამიანისა და მაიმუნის ჰიბრიდის მიღებას ცდილობენ.	**საქართველო და მსოფლიო, ასავალ-დასავალი**	**Москва – Третий Рим**	ადამიანისა და ადამიანის მსგავსი მაიმუნის (APE) ჰიბრიდის ხელოვნური განაყოფიერებით შექმნის პირველი მცდელობა ეკუთვნის რუს მეცნიერს ილია ივანოვს, რომლის მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა. სტატიაში გამოყენებული ფოტო, რომელზეც ადამიანისა და ცხოველის ჰიბრიდია გამოსახული, არის „ვარსკვლავური ომების“ პროდიუსერის ახალი სამეცნიერო ფანტასტიკური დრამის “THE CHIMERAN”-ის პოსტერიდან.
დეზინფორმაცია/ მედია/ შეცდომაში შემყვანი სათაური	„სამხედრო გადატრიალებაში ერდოღანი აშშ-ს ადანაშაულებს“ სათაური *16 ივლისი, 2016*	**PIA**	**Комсомольская правда**	PIA-ს თავდაპირველი სათაური, რომელიც მოგვიანებით სააგენტომ შეცვლა, შეუსაბამო იყო ინფორმაციის ტექსტთან, რადგან რეჯიპ ერდოღანმა გადატრიალების მცდელობაში დაადანაშაულა არა ამერიკის შეერთებული შტატები, არამედ ამერიკაში მცხოვრები ერთი კონკრეტული პიროვნება ფეტულა გიულენი.

ჭორების გამავრცელებელი რესურსის გამოყენება ინფორმაციის გასავრცელებ-ლად	აშშ-მ ბელარუსიას უვიზო მიმოსვლა დაუწესა, საქართველოს – არა.	TB24, Geomedia TV, 1Exclusivetv.com **წყარო:** USA RADIO	Mbee.ru	ბელარუსი არ შედის იმ 38 ქვეყნის ჩამო-ნათვალში, რომელზეც ამერიკასთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ვრცელდება. USA RADIO, რომელმაც ბელარუსთან დაკავშირებით მასალა 2016 წლის 31 იანვარს გამოაქვეყნა, საკუთარ ვებ-გვერდზე კატეგორიაში „ჩვენს შესახებ“ უთითებს, რომ ის ახალ ამბებსა და ჭორებს ავრცელებს.
სატირულ-იუმორისტული პუბლიკაციების რეალურ ინფორმაციად გაშუქება	ალაბამას სენატორს საქართველოს ოლიმპიური ნაკრები ჯორჯიის შტატის ოლიმპიურ გუნდში აერია და ამის შესახებ ღია წერილით მიმართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს.	**სოციალური მედია, info9, geotimes,ge, ok.ru,mpress.ge** **პირველწყარო: სატირულ-იუმორისტულ-მა პორტალმა USdailymail**		ინფორმაცია თავდაპირველად სატირულ – იუმორისტულმა პორტალმა Usdailymail.com-მა გაავრცელა, რომლის ვებ გვერდზე ვკითხულობთ: US Daily Mail – ახალი ამბები, რომლებიც ჯერ არ მომხდარა.

დასავლეთი

პროპაგანდის მეთოდი	გზავნილი	წყარო	იდენტური რუსული ან სხვა წყაროები	რეალური ფაქტები
დეზინფორმაცია/ რესპონდენტები	დასავლეთს საქართველოში არცერთი საწარმო არ აუშენებია. *25 თბილისი, 2016*	**თემურ ხაჩიძე, უშიშროების ყოფილი მინისტრი**		უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების ათეულიდან 6 დასავლურია. მათ შორისაა: აშშ, გაერთიანებული სამეფო, ნიდერლანდები, ვირჯინიის კუნძულები, ლუქსემბურგი, კვიპროსი. ათეულშია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიც, რომლებმაც ჯამში 2016 წლის პირველ კვარტალში 16 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია განახორციელეს საქართველოში.
	საქართველო მეტ შემოსავალს და დახმარებას იღებს რუსეთიდან, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებიდან. *25 თებერვალი, 2016*	**არჩილ ჭყოიძე, „სპუტნიკ-საქართველო“**		დასავლეთის ქვეყნებიდან ფულადმა გზავნილებმა 2015 წელს 437 მილიონი აშშ დოლარი შეადინა, რუსეთიდან 433 მილიონი.
	იუვენალური კანონმდებლობა არის დასავლეთის ბრძოლა ქართული ოჯახის წინააღმდეგ. *27 ივლისი, 2016*	**ავთანდილ უნგიაძე, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი, ჯონდი ბაღათურია, ქართული დასი, გურამ ფალავანდიშვილი, პალიტრა ნიუსის წამყვანი**	**Геноцид Русов, Омилия**	იუვენალური მართლმსაჯულების მთავარი მიზანია არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, დასჯის ნაცვლად უპირატესობა მათ რეაბილიტაციას მიანიჭოს.
	RUSSIA TODAY-ს სულ უფრო მეტი ამერიკელი და ევროპელი მაყურებელი ენდობა, ხოლო CNN-ის მიმართ ნდობა იკლებს. *15 დეკემბერი*	**გულბაათ რცხილაძე, ევრაზიის ინსტიტუტი**		STATISTA-ს ინფორმაციით, გერმანიაში, RT აშშ-ის საკაბელო ტელევიზიების რეიტინგის ოცეულშიც არ გვხვდება. TV NEWSER-ის მონაცემებით, 2016 წლის იანვარ-ნოემბერში, RT-ის მაყურებელმა ევროპის ტელევიზიების აუდიტორიის 0.1 %-ც არ შეადგინა.

დეზინფორმაცია/ კორესპონდენ-ციის ფაბრიკაცია/ მედია	უკრაინაში საომარი მოქმედებებით ევროპა და ამერიკა არის დაინტერესებული, რადგან მათ ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის უკანონო ბიზნესის ინტერესები ამოძრავებთ. სტატიაში მოყვანილია იულია ტიმოშენკოს ადვოკატის სერგეი ვლასენკოს სიტყვები: „სანამ უკრა-ინის აღმოსავლეთში ომი არ დამთავრდება, კლიენტებს ევროპიდან და აშშ-დან შეუძლიათ, ორგანოების უწყვეტი და ლეგალური მიწოდე-ბის უნარი ჰქონდეთ“.	**„ასავალ-დასავალი“, რუსული ტელეკომპანია “ЗВЕЗДА“-ს “ОСОБАЯ СТАТЬЯ“-ს წამყვანი ალექსი გუდოშნიკოვი**		რუსული მედიის მიერ იულია ტიმოშენკოს ყოფილი ადვოკატისა და ოლგა ვიბერის მიერ ორგანოებით ვაჭრობის შესახებ გავრცელე-ბული მიმოწერა – ფაბრიკაციაა. STOPFAKE ესაუბრა ოლგა ვიბერს, რომელმაც განაცხადა, რომ ის არ არის ექიმი, არ იცნობს პირადად სერგეი ვლასენკოს, სემიონ სემენჩენკოს და მთელი მიმოწერა ყალბია.
დეზინფორმაცია/ ვიდეო ფაბრიკაცია/ მედია	სანდრა რულოვსი დასავლეთში ადამიანთა ორგანოების ექსპორტითაა დაკავებული და უკრაინაში დაღუპული მეომრების ორგანოების ვაჭრობს.	**ექსკლუზივ ნიუსი, Times News, რუსულენოვანი პორტალი Slovo.net.ua**		მტკიცება იმის შესახებ, თითქოს უკრაინაში ომში დაღუპული ჯარისკაცების ორგანოების ამოკვეთა და გაყიდვა მიმდინარეობს – ტექნი-კური და სამედიცინო ფაქტორების გათვა-ლისწინების თვალსაზრისით უსაფუძვლოა. მასალის თანმხლები ვიდეოს გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ ვიდეო 2015 წლის 5 ნოემბერსაც აიტვირთა სახელწოდებით КРОВАВЫЙ БИЗНЕС НА ДОНБАССЕ, მომხმარებელ გენადი პესკოვის მიერ.

სხვადასხვა

პროპაგანდის მეთოდი	გზავნილი	წყარო	იდენტური რუსული ან სხვა წყაროები	რეალური ფაქტები
დეზინფორმაცია/ მედია	BBC-ს დოკუმენტური ფილმის მიხედვით, მალაიზიური თვითმფრინავი მალაიზიური BOEING 777 უკრაინელების ჩამოგდებული იყო. *11 მაისი, 2016*	**საქართველო და მსოფლიო, საქინფორმი**	**რუსულენოვანი: Sputnik, ТАСС. დასავლური გამოცემები: Daily Mail, Sunday Express**	რეალურად BBC-ს ფილმში მიმოხილულია, ერთი მხრივ, MH17 ავიაკატასტროფის შესახებ ჰოლანდიის სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოს ოფიციალური საგამოძიებო დასკვნა, რომლის თანახმად, ავიაკატასტროფა გამოიწვია აღმოსავლეთ უკრაინაში, რუსეთ-უკრაინის საზღვრიდან ახლოს რუსული წარმოების სსკ БУК-М1-დან გაშვებულმა 9М38М1 ტიპის რაკეტამ და მეორე მხრივ, ინციდენტთან დაკავშირებით არსებული კონსპირაციის თეორიები.
	ნადეჟდა სავჩენკო, პირადი უსაფრთხოების გამო საცხოვრებლად რუსეთში გადადის *26 დეკემბერი, 2016*	**The Georgian Times, nsp.ge წყაროდ მითითებილია BBC**	**Конт.ws x-true.info Pravda-tv.ru**	არც BBC-ს და არც სხვა დასავლურ გამოცემას ნადეჟდა სავჩენკოს რუსეთში საცხოვრებლად გადასვლაზე ინფორმაცია არ გამოუქვეყნებია.
	ენციკლოპედია „ბრიტანიკა“ საქართველოს ისტორიას აყალბებს *6 დეკემბერი, 2016*	**Mediacity.ge**		ჩანაწერი, რომელიც ქართულ ანბანის შექმნას მესროპ მაშტოცს მიაწერდა, ენციკლოპედიიდან 2011 წელს ქართველი მეცნიერების მიმართვის საფუძველზე ამოიღეს. MEDIACITY-ს სტატიაში არ არის აღნიშნული, რომ უზუსტობა ენციკლოპედიამ 2011 წელს გასწორა.
	სისხლიანი ბანანები აივ-ინფიცირებულთა სისხლით. *19 დეკემბერი, 2016*	**Mediacity.ge Apsny LIFE**		ბანანებს ამგვარ შეფერილობას ბაქტერია RALSTONIA SOLANACEARUM აძლევს, რომელიც ბანანების გარდა მასპინძელ ორგანიზმებად კარტოფილს, პომიდორს, ჯინჯერს, ზეთისხილსაც იყენებს.
სატურულ-იუმორისტული პუბლიკაციების რეალურ ინფორმაციად გაშუქება	Facebook-ი შაბათ-კვირას გაითიშება, რადგან მარკ ცუკერბერგის აზრით, სამყარო ფეისბუკზე დამოკიდებული გახდა, რაც ადამიანის ფსიქიკაზე დამანგრეველ ეფექტს ახდენს. *8 დეკემბერი, 2016*	**Primetime.ge Mshoblebi.ge**		დეზინფორმაცია ყველაზე რეიტინგული სოციალური ქსელის გათიშვის შესახებ სატირულმა სააგენტომ BSTV.GE გაავრცელა რუბრიკაში „ბლეფ-ნიუსი“.
კონსპირაცია/ რესპონდენტები	ლიბერალი რომაული ღმერთის ლიბერის თაყვანისმცემელს ნიშნავს, რომელიც სექსუალური გარყვნილებითა და ლოთობით გამოირჩეოდა. *14 მარტი, 2016*	**ლევან ვასაძე, ბიზნესმენი**		სიტყვა ლიბერალიზმი პოლიტიკურ მეცნიერებაში თავისუფლების, თანასწორობის სინონიმია. ის მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან LIBER (თავისუფლება).

ნატო

პროპაგანდის მეთოდი	გზავნილი	წყარო	იდენტური რუსული ან სხვა წყაროები	რეალური ფაქტები
დეზინფორმაცია/ ფოტომანიპულაცია/მედია	ნატო-მ ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი სამხედროებისათვის ოფიციალურად ახალი ფორმები დააკანონა. *1 ივლისი, 2016*	**გაზეთი „ასავალ-დასავალი“**		ნატოს არ გააჩნია ერთიანი, უნივერსალური სამხედრო ფორმა. სტატიის თანმხლები ფოტო 2014 წლის 20 ოქტომბერსაა გადაღებული და ასახავს არასამთავრობო ორგანიზაციის „სამოქალაქო თავისუფლებების ამერიკული გაერთიანების“ (The American Civil Liberties Union) მიერ ორგანიზებულ ფორუმს, სადაც ტრანსგენდერი სამხედრო მოსამსახურეები შვედეთიდან, ახალი ზელანდიიდან, ავსტრალიიდან და კანადიდან საუბრობენ ვაშინგტონში ორგანიზებულ დისკუსიაზე.
დეზინფორმაცია/ მედია	თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა ნატოს საწრთვნელი ცენტრის საქართველოში ფუნქციონირებას არალეგალური უწოდა. *5 ივლისი, 2016*	**საქინფორმი**		ნატო-საქართველოს ერთობლივი წრთვნისა და შეფასების ცენტრი (Joint Training and Evaluation Centre (JTEC)) კრწანისში, 2015 წლის 27 აგვისტოდან ლეგალურად ფუნქციონირებს.
	NATO-ს ოპერაციებს მშვიდობა არსად მოუტანია *3 ნოემბერი, 2016*	**საქართველო და მსოფლიო**		ბოსნია ჰერცოგოვინაში, კოსოვოსა და მაკედონიაში NATO-ს ინტერვეციის შემდეგ შეიარაღებული დაპირისპირება შეწყდა.
დეზინფორმაცია/ რესპონდენტები	NATO ებრძოდა მართმადიდებელ სერბეთს და კოსოვოს სახით ისტორიული მიწა წაართვა. *27 ოქტომბერი, 2016*	**გრიგოლ მეზვრიშვილი, სასულიერო პირი**		კოსოვოში ინტერვენციის შედეგად შეწყდა შეიარაღებული კონფლიქტი კოსოვოს გამათავისუფლებელ არმიასა და სერბეთის მთავრობას შორის; კოსოვარი ალბანელები გათავისუფლდნენ მილოშევიჩის მრავალწლიანი შევიწროებისგან; თავიდან იქნა აცილებული ალბანელების გენოციდი.
	საქართველოს ნატოს წევრობის სანაცვლოდ ტერიტორიული მთლიანობის დათმობა მოუწევს. *19 მაისი, 2016*	**თამაზ მეჭიაური, ქართული ოცნება**		ნატოს წესდების მეხუთე მუხლი ტერიტორიების დათმობას არ მოითხოვს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ალიანსის წევრი აღმოსავლეთ გერმანიის ოკუპაციის პირობებში 1955 წელს გახდა.

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა მითები

პროპაგანდის მეთოდი	მგზავნილი	წყარო	იდენტური რუსული ან სხვა წყაროები	რელური ფაქტები
კონსპირაცია/ მედია	CIA-ს უფროსმა ალენ დალესმა ცივი ომის დროს შეიმუშავა გეგმა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლისკენ იყო მიმართული, საბჭოთა საზოგადოების მორალური ფასეულობების განადგურების გზით.	**საქართველო და მსოფლიო, კვირის პალიტრა, ასავალ-დასავალი**	**Журналист говорит**	რეალურად პოსტ-საბჭოთა პროპაგანდა ე.წ. „დალესის გეგმად“ მხატვრულ ნაწარმოებს, საბჭოთა რომან „მარადიული ძახილის“ (Вечный зов) ფრაგმენტებს ასაღებდა.
	სამამულო ომის დროს, როცა ამერიკა და ინგლისი ჰიტლერს აფინანსებდა, – ფაშისტური ჭირისგან მსოფლიო სტალინმა იხსნა *20 სექტემბერი, 2016*	**საქართველო და მსოფლიო**		აშშ-მა მოკავშირე ქვეყნებს, მათ შორის სსრკ-ს, 1941-1945 წწ-ში ჯამში $50,1 მილიარდის სამხედრო დახმარება გამოუყო. რომ არა მოკავშირეების კამპანიები ბრიტანეთში, ატლანტის ოკეანში, ჩრდილოეთ აფრიკასა და ნორმანდიაში, გერმანიის შანსები გენერლების რეპრესიებისგან დასუსტებული, არასათანადო სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი საბჭოთა არმიის წინააღმდეგ საგრძნობლად გაიზრდებოდა.
	შიდსის ვირუსი აშშ-ში ვიეტნამიდან ამერიკელმა ჯარისკაცებმა ჩაიტანეს და ის პენტაგონის ქიმიურ ლაბორატორიებში შეიქმნა, რათა ვიეტნამელების წინააღმდეგ ექსპერიმენტის სახით ყოფილიყო გამოყენებული. *2 აგვისტო, 2016*	**საქინფორმი, REX**	**„Независимая газета“, Novorus.info**	1992 წელს, გაზეთ „იზვესტიასთან“ რუსეთის სადაზვერვო სამსახურის უფროსმა ევგენი პრიმაკოვმა დაადასტურა, რომ ისტორიები შიდსის პენტაგონის ლაბორატორიაში შექმნის შესახებ ყალბი ინფორმაცია იყო, რომელიც KGB- ს მიერ შეიქმნა.
	აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ჯეიმს ფორესტალი შეპყრობილი იყო რუსების სიძულვილით და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა	**Politicano, საქართველო და მსოფლიო, Tb24**	**Аргументы и Факты**	არცერთ მოწმეს არ აღუნიშნავს, რომ ფორესტალის თვითმკვლელობის მომენტს შეესწრო ან დაინახა, როგორ ხტებოდა ფანჯრიდან ყვირილით „რუსები მომდევენ“.
დეზინფორმაცია/ რესპონდენტები	„სამამულო ომის“ შემდგომ სტალინმა 22 000 ეკლესია ააშენა, გახსნა სასულიერო სემინარიები და აკადემიები. *31 ოქტომბერი, 2016*	**იოანე ჩიგოგიძე, სასულიერო პირი სპუტნიკ-საქართველო**		მხოლოდ 1923 წელს სტალინის ანტირელიგიური პოლიტიკის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე 1212 ეკლესია დაიხურა. 1930-იანი წლებიდან გამოიცა დადგენილება ჯართში ჩაბარების მიზნით ეკლესიებიდან ზარების ჩამოხსნის შესახებ.

არასამთავრობო ორგანიზაციები

პროპაგანდის მეთოდი	გზავნილი	წყარო	იდენტური რუსული ან სხვა წყაროები	რეალური ფაქტები
დეზინფორმაცია/ რესპონდენტები	პოლონეთსა და ისრაელში არასამთავრობო ორგანიზაციების უცხოეთიდან დაფინანსება აკრძალულია. *16 მაისი, 2016* *5 დეკემბერი, 2016*	**ნიკოლოზ მუავანაძე, უფლება-დამცველთა გაერთიანება** **ასავალ-დასავალი**		არც პოლონეთის კანონი „საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობასა და მოხალისეობაზე“, არც „ასოციაციების“ ან „ფონდების შესახებ“ საკანონმდებლო ნორმები არ შეიცავს ჩანაწერს, რომელიც უცხო ქვეყნის მიერ არასამთავრობო ორგანოზაციების დაფინანსებას კრძალავს. ისრაელში უცხოეთიდან დაფინანსება არ იკრძალება, თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციები ვალდებულნი არიან დაფინანსების წყაროების ღია დეკლარირება მოახდინონ.
	სოროსის ფონდის დაფინანსება ეროვნულობის წინააღმდეგ არის მიმართული. *29 სექტემბერი, 2016*	**სანდრო ბრეგაძე, ეროვნულები**		ფონდმა „ღია საზოგადოება-საქართველომ“ 1994 წლიდან მოყოლებული 365 პროექტი დააფინანსა. მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის აღწერისა და ფოტოფიქსაციის, არქეოლოგიის, მუზეუმებისა და თანამედროვე ხელოვნების განვითარების მიმართულებით.

WWW.MDFGEORGIA.GE